სამშაბათი, 1918 წ. მარტის 20 (2 № 61
წელიწადი მეოთხე

სამშაბათი, 1918 წ. მარტის 20 2) № 61
ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ., რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კ ო ნ ტ ო რ ა

გაზეთის ფასი ერთის წლით 50 მ. 6 თვით 27 მ. 3 თვით 13 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მ. 50 კ. ცალკე № 30 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით: 15×2—10 მანეთი, 20×2—13 მანეთი, 30×2—15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1\frac{1}{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

ელისაბედ ივანეს ასული მაჩაბლისა შვილებითურთ გულითად მადლობას უძღვნის ყველა ნათესავთ, მეგობრებთ, ნაცნობთ და დაწესებულებათ რომელთაც პატივი სცეს მის მეუღლის განსვენებულ თავადის

ვასილ გიორგის ძის
მაჩაბლის

ხსოვნას და პირადათ, წერილებით და დეპეშებით ანუგეშეს ღრმა მწუხარებაში.

1—1

წარმოდგენა № 28.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის
სახალხო სახლი
ხას. ხას. არხ. ქართვ. წარ. მმართვ. წრე სამშაბათს, 20 მარტის 1918 წ.
წარმოდგენილი იქნება
უბრალოდ დასჯილნი
კომ. 4 მოქ. ოსტროვსკისა, თარგ. ი. მაჩაბელისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ელ. ბარათაშვილი, ნ. [illegible], ელ. იანქოშვილი, ს. [illegible], ჰიპურელი. ბ-ნნი ნ. გოცირიძე, ი. მინდიაშვილი, ალ. [illegible], რ. სალაყაია და ა. თავდგირიძე.

**დასაწყისი საღამოს 7 საათზე.** ადგილების ფასი 1 მ. 40 კ. 35 კ-დე
შემდეგი წარმოდგენა 24 მარტს.
რეჟ. ქ. შათირიშვილი. რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე.
2—929—2 ქართ. ს. ხ. წარმ. წრის ადმინისტრაცია.

ქართული თეატრის
ალორძინება

ქართული დრამატიული საზოგადოება მიუწოდებს ქართველ ინტელიგენტ ახალგაზრდობას (18 წლ. 30 წ-დე) გამოცხადდნენ ჩასაწერათ სტუდიით ახალ დასის შესადგენათ. ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დაარსა სასცენო ხელოვნების სტუდია. ამ სტუდიაში მომზადებული მსახიობებით გაჰმართავს წარმოდგენებს ჯერ თბილისის სახაზინო თეატრის შენობაში და შემდეგ თავის საკუთარ თეატრში. მსურველნი ამ სტუდიაში სრულიად უფასოთ შეისწავლიან დიქციას, მიმიკას, პლასტიკას, რიტმს დალკროზის სისტემით, ფარიკაობას, გრიმს, ხმის დაყენებას და ვისაც სასიმღერო ხმა აღმოაჩნდება—სიმღერას. თუ რომელსამე მოწაფეს აღმოაჩნდება მუსიკის ნიჭი, შეისწავლის დაკვრას იმ ინსტრუმენტზე, რომელსაც მოისურვებს.

დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ქართული დრამატიული საზოგადოების კანცელარიაში,—რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე № 11. ჩაწერა დაიწყება 21 მარტს და გაგრძელდება მთელი ორი კვირა, ე. ი. 5 აპრილამდე.

კანცელარია ღიაა დილის 10 საათიდან—2 საათამდე და ნაშუადღევის 4—6 საათამდე.

თბილის გარეთ მცხოვრებნი შეუძლიათ წერილობით გვაცნობონ ამ მისამართით.

5—931—1 ქართული დრამატიული საზოგადოება.

ქართული კლუბის მამასახლისთა
საბჭო

ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ 25 მარტს, შუადღის 12 საათზედ დანიშნულია წევრთა წლიური კრება.

წესდების § 29 მუხლის თანახმად ეს კრება კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

**განსახილველი:** 1917 წ. ანგარიში, 1918 წ. ხარჯთ აღრიცხვა, ზოგიერთი მუხლთა შეცვლა, მიმდინარე საქმეები. უნდა მოხდეს აგრეთვე არჩევნები: მამასახლისებისა, ამათ კანდიდატებისა, სარევიზიო კომისიის წევრებისა, წევრებისა და მუდმივ [illegible] პირებისა. (4—930—2

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

დანტისტი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი ხ. [illegible] კომისიისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელ. № 17—21.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ
ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებისა და ბავშვებისთვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნიუ"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

საქართველოს ერ.-დემ. პარტიის ქ. თბილისის
კომიტეტისაგან

ქ. თბილისის კომიტეტი ამით აუწყებს თბილისში მცხოვრებ პარტიის წევრებს, რომ იგი გადავიდა ახალ ბინაზე—ერევნის მოედანზე, თამამშოვის ქარვასლაში. ბიურო ღიაა ყოველ დღე, დილის 11 საათამდე ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ქართველთა ცენტრალური სამხედრო კომიტეტი
იწვევს მომღერლებს
(ქალთა და ვაჟთა)

თვიურის ჯამაგირით 80—1000 მ. [illegible].

ხმის გამოცდისათვის მსურველნი უნდა მობრძანდნენ სამხედრო კავშირის ბინაზე, ქართულ კლუბში 12—2 ს. და 5—7 საღ.

გუნდის ლოტბრად მოწვეულია კომპოზიტორი ნ. პ. სულხანიშვილი.
2—1534—2

ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ი
გრიგოლ ვეშაპელი.
საქართველო და რუსეთი
საქართველოს ისტორიული საზღვრების რუკით.
ფასი 1 მანეთი და 50 კაპ.

წიგნი იყიდება: „საქართველოს" კონტორაში და კიკნაძის „ნოვაია რეჩის" წიგნის მაღაზიაში.

ე ქ ი მ ი
დიმიტრი (რამინ) იოსებიძე
ყურდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისით და მისი შედეგებით, სისხლ ნაკლებობით, ქრონიკული მალარიით და ქრონიკული ტრიპერით საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, [illegible].
ტელეფონი 14—37
1თ—960—18

ე ქ ი მ ი
მ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანებს სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ბო-მონდის" პირდაპირ.
თ—1018—10

მარტის 20 გაიხსნება
ექიმ ე. მ. მძინარაშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის

საავადმყოფოში იარსებებს კბილის სამკურნალო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და „[illegible]" ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი [illegible] ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფთა მიღება—საღამოს 4-დან—8 მდის.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12 მდე უფასოდ.

ქ. გორი
ექიმი
პ. მ. ელიოზიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება ძველ ბინაზე ([illegible] ქუჩა სახლი ზაალიშვილისა).
(10—1522—3)

ე ქ ი მ ი
ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. **მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. თ—1536—1

## სეიმის მოწოდება

მოწოდებით და პროკლამაციებით რთული რეფორმების დაწყება რუსეთის რევოლიუციის ჩვეულებაა. ჯერ კერენსკის მთავრობა სცდილობდა რუსეთის გარდაქმნას ცხარე სიტყვებით და მოწოდებებით. შემდეგ ბოლშევიკური მთავრობაც ამ გზას დაადგა და პირველს კიდეც გადაჰკრა. ჩვენი მთავრობა პირმშო შვილია ამ ორი რუსული პოლიტიკური მიმდინარეობისა. გასაკვირველი არ არის, რომ მას ამჩნევს მშობლების თითქმის ყველა თვისებები. ბოლშევიკური მაქსიმალიზმი კერენსკის გაუბედაობით შეფერილი, ლენინის პირდაპირი ბუნება და კანონიერების და უფლებრივ ჩარჩოების ძიება ყველა ამ ელემენტებს და თვისებებს არიგებს და ათანხმებს ის პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც ამიერ-კავკასიის სათავეში უდგია.

ამით აიხსნება რომ მას არ აქვს ერთი გარკვეული პოლიტიკური გზა და მიმართულება. ის ერთმანეთის საწინააღმდეგო ძალებს ემყარება და ამის გამო ხშირად ერთი მტკიცედ წინ გადადგმული ნაბიჯი ორჯერ მარცხნივ თუ მარჯვნივ წაბორძიკებით იცვლება და უფლებრივ, ნამდვილ სახელმწიფოებრივ საფუძველზე დაწყებული რეფორმა ბოლშევიკური ანარქისტულ მოქმედებებით სრულდება.

დამოუკიდებლივ საზავო მოლაპარაკების წარმოების საკითხი, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა, თვით სეიმის მოწვევა თუ მრავალი შინაური რეფორმები—ყოველგან რყევა, დაგვიანება და ცხოვრების უკან ჩანჩალი, გარკვეული გეგმის უქონლობა და ამასთანავე განუსაზღვრელი პოლიტიკური და სოციალური მადა, მთელი ქვეყნის გარდაქმნის სურვილი... სანამ შეიძლებოდა ცდა და ლოდინი, არც საგარეშო მუშაობა და არც შინაური არ მოგვარებულა. როდესაც ეს უკვე შეუძლებელია და ცხოვრება მეტს აღარ ითმენს, სასწრაფოდ ისეთი რადიკალური რეფორმების შემოღება, რომლისათვის მათ არავითარი ძალა არ შესწევთ და რომლის შესრულება მოითხოვს მეტად საიმედო და ძლიერ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას, მეტს პოლიტიკურს კულტურას და მომზადებას, როგორც დაბლა, ხალხში, ისე ზევით, მის მეთაურებში და მეტს დროსაც.

განა ის მოწოდება, რომელიც გამოსცა ამიერ-კავკასიის სეიმმა გლეხების მიმართ მიწის შესახებ კანონის ცხოვრებაში გასატარებლად აშკარად იმის მაჩვენებელი არ არის, რომ მთავრობას თავის ძალით, სახელმწიფოებრივი გზით ამ რეფორმის მოხდენის იმედი არა ჰქონია და სცდილობს ისეთი კომბინაციების შექმნას, რომელნიც მას გაამაგრებენ და ამ კანონის განხორციელების საშუალებას მისცემენ? მოწოდება აუწყებს გლეხებს სეიმის კანონის გამოცემას მესაკუთრეებისაგან შვიდ დესეტინაზე ზევით მიწების ჩამორთმევისა და ამ მიწების საადგილ-მამულო კომიტეტებისთვის გადაცემის შესახებ და არწმუნებს მათ: „ასე აღსრულდა ამიერ-კავკასიის გლეხობის დიდი ხნის სურვილი განურჩევლად ეროვნებისა". ამ გლეხობას, განურჩევლად ეროვნებისა კარგად ახსოვს, რომ მისი სურვილები სულ სხვა იყო. მას უნდოდა მსხვილ მემამულეთა მიწების ჩამორთმევა და საკუთრებად მიღება და არა კომიტეტებისთვის გადაცემა. და როდესაც გლეხობას ამის შესახებ რამე ეკითხება, ის ისევე ჩამოართმევს ამ მიწებს კომიტეტებს, როგორც დღეს ჩვენი მთავრობა ართმევს მიწებს მეპატრონეებს. მაგრამ დავუბრუნდეთ თვით მოწოდებას. ის იწვევს გლეხობას რათა მან დახმარება გაუწიოს მთავრობას ამ კანონის განხორციელებაში, ვინაიდან „ამ საქმეს დიდი საშიშროება, სიძნელე უდგას წინ". როგორია ეს საშიშროება?

„ისინი, ვისთვისაც ძვირფასია ძველი წეს-წყობილება და მემამულეთა ინტერესები, ადვილად არ შეურიგდებიან ისეთ საადგილ-მამულო კანონს, რომლითაც მემამულეების უფლებანი ღარიბ-ღატაკებზე გაუქმებულია. მაგრამ აშკარათ, სეიმის მიერ ერთხმათ მიღებული კანონის წინააღმდეგ, ისინი არ გამოვლენ. აშკარათ ისინი თქვენ არ გაგაგებინებენ თავიანთ განზრახვებს. ისინი შეეცდებიან საადგილ-მამულო კანონი, დაიწყებენ რა ჩვენს მხარეში შფოთის, ანარქიისა და სხვა და სხვა ტომთა შორის შუღლის თესვას. ამ გზით ისინი ჰეშმარიტათ მიაღწევენ მიზანს, ჩამოართმევენ გლეხებს მიწებს, რომელიც მათ რევოლიუციამ გადასცა.

რუსეთში ჩვენს თვალწინ ანარქიის მორევში და არევ-დარევაში ილუპება რევოლიუციის მოპოებანი. ილუპება რუსეთის გლეხობის იმედი მიწების მიღების შესახებ".

და განა ეს მოწოდების ეს ფრაზები არ შეიძლება გახდეს სწორედ იმ ანარქიის თესვის საშუალებად, რომელმაც „რუსეთში ჩვენს თვალწინ დაიღუპა რევოლიუციის მოპოებანი"? განა შეიძლება საზღვრების დასაცველად ანარქიასთან საბრძოლველად მთავრობამ, თვით მთავრობამ ისეთს საშუალებებს მიმართოს, რომელიც შესაძლოა, თვით ამ ანარქიას დაჰბადებს და, მაშასადამე საზღვრების დასაცავ საშუალებებსაც მოსპობს? და ამიერ-კავკასიის მთავრობამ არ იცის, რომ ეს მოწოდება საუკეთესო საბუთად და დოკუმენტად გამოადგება ყველა იმას, ვინც განიზრახავს ხალხის ერთი ნაწილის მეორის წინააღმდეგ ამხედრებას, სამოქალაქო ომისა და ხოცვა-ჟლეტის გაჩაღებას? ესენი მემამულეებია, (და ვინ არ არის დღეს მემამულე შვიდი დესეტინიანი ნორმის შემოღების შემდეგ? თვით გლეხობის დიდი ნაწილიც ასეთი მემამულეა), და „აშკარად ისინი არ გაგაგებინებენ თავის განზრახვას, მაგრამ ფარულად შეეცდებიან დაარღვიონ საადგილ-მამულო კანონი, და ამით ჩამოართმევენ გლეხებს მიწებს, რომელიც მათ რევოლიუციამ გადასცა", მაშ ბრძოლა მათ, იტყვიან სეიმის სიტყვებით და დასკვნასაც გამოიყვანენ მას სწორედ ის ელემენტები, რომელნიც ჩვენს ქვეყანაში ანარქიისა და ხოცვა-ჟლეტის გამეფებაში არიან დაინტერესებულნი.

და განა გაგონილა, რომ კანონმდებელ ორგანოს ან მთავრობას ხალხში ისეთი ლოზუნგი გადაესროლოს, რომელიც ამ ანარქია და სამოქალაქო ომისათვის საუკეთესო დროშად გამოდგება?

ჩვენ ვიცით, რომ რადგან სეიმმა კანონი გამოსცა მიწის შესახებ, რაც უნდა უნიადაგო და ფანტასტიური არ უნდა იყოს ის, მთავრობა და სეიმი მის განხორციელებას შეეცდებიან. მაგრამ ამისთვის მხოლოდ ერთი გზა უნდა იყოს—მტკიცე მთავრობის ორგანიზაციის შეკვრა, ძლიერი, თუნდაც სასტიკი ზომები, მაგრამ კანონისა და სახელმწიფოებრივი გზით და არა ისეთი ლოზუნგების გადასროლა, რომელთაც შეუძლიათ საშინელი ანარქია დაჰბადონ.

ან იქნება ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში ყოველივე შესაძლებელია?

## ამიერ-კავკასიის „მთლიანობა"

პირველადვე, როდესაც ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი პრაქტიკულად უნდა გადაწყვეტილიყო, მის აუცილებლობას და საჭიროებას, სხვათა შორის, იმით ასაბუთებდნენ, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთა შორის არსებობს მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიური კავშირი ისტორიულ თანამშრომლობაზე და განუწყვეტელ ურთი-ერთ შორის დამოკიდებულებაზე აღმოცენებული, რომელიც მოითხოვს ამ ერების ყოველ მხრივ გაერთიანებას, ყოველს შემთხვევაში, მათს მოქცევას ერთს სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ ფარგლებში.

წინააღმდეგ ამისა, ჩვენ იმ აზრს გამოვთქვამდით, რომ მთლიანი ამიერ-კავკასია არის მხოლოდ საშუალება მომავალი ეროვნულ-ტერიტორიულ სახელმწიფოთა შექმნისათვის, მაშასადამე, ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს აქვს წარმავალი დანიშნულება; რაც შეეხება საერთო ინტერესებს, რომლის მიხედვით ვითომც შესაძლებელი ხდება ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ ერთეულად აღიარება, უნდა განვაცხადოთ, რომ ეს არგუმენტი არ არის ძლიერი თვისებისა, რადგანაც ერთა ერთგვარი ურთი-ერთ დამოკიდებულება სრულებით არა ჰგულისხმობს მათს სახელმწიფოებრივ შეერთების აუცილებლობას: მეზობელ ხალხთა შორის რამენაირი კავშირი ყოველთვის არსებობს, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ უნდა მოხდეს მათი პოლიტიკური შეერთებაც. ამგვარი ლოღიკური მსჯელობა ძლიერ შორს წაგვიყვანდა და მივადგებოდით [illegible] ჯერ უცნობს სახელმწიფო უფლების მეცნიერებაში, რომლის უკიდურესი მიმართულება ამ ქამად კმაყოფილდება კონფედერაციით... მაგრამ დავუბრუნდეთ საგანს და ვკითხოთ, არსებობს-კი ის საერთო ამიერ-კავკასიაში ყველა ერებისათვის თანასწორად მისაღები პოლიტიკური, თუნდ სოციალური პლატფორმა, რაზედაც ჩვენი პოლიტიკოსები ლამობენ აღაშენონ ერთი განუყოფელი სახელმწი-

ფო? გადაჭრით უნდა ითქვა, რომ ძნელად მოიპოვება დედა-მიწის ზურგზე კიდევ კუთხე, სადაც სხვა და სხვა ერების მისწრაფებათა და ზრახვათა ისეთი შეურიგებელი წინააღმდეგობა სუფევდეს, როგორც ამას ადგილი აქვს ამიერ-კავკასიაში, და, თუ დღეს აქ მობინადრე ხალხს ჩვენ ვხედავთ „შეერთებულს“, ერთს უზენაეს მბრძანებლობის ქვეშ მყოფს, ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ განრღვეულ რუსეთის ადგილობრივ მმართველობას მემკვიდრეობით მოსდევს ასეთივე სახის მთავრობა, რომელსაც ამიერ-კავკასიაში მიეკედლა ყველა ბოლშევიკური მთავრობის უარის-მყოფელი იმ მოსაზრებით, რომ შემდგომი პოლიტიკური განვითარება თვითეულ ერს მისცემდა საშუალებას აწარმოვოს საკუთარი პოლიტიკური ცხოვრება.

ჭეშმარიტად, ეროვნულ იდეალების განცხოველებით ხასიათდება ჩვენი დრო! ერთა და რასათა, ასე ვსთქვათ, კრისტალიზაცია ხდება, რომლის უტყუარი ნიშნები აღბეჭდილია ყოველდღიურ მაგალითებში! ვერავითარი წინააღმდეგობანი ვერ შეაჩერებს ამ იდეის განხორციელებას, ცხოვრებაში დამკვიდრებას; ვფიქრობთ, ვერც სოციალ-დემოკრატების „გამაერთიანებელი“ მოღვაწეობა შესძლებს ჰაცდინოს ცხოვრების საერთო მსვლელობა დასახულ მიზანს.

ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკებამ და ოსმალეთთან ომის გამოცხადების შესაძლებლობამ საკმაოდ გამოამჟღავნა ამიერ-კავკასის ერთა მიდრეკილება და ცხად ჰყო, რამდენად მოტყუებული ყოფილან ისინი, ვინც დღე-მუდამ ჩაგვჩიჩინებდა ამ ერთა საერთო მისწრაფებებზე და სრულებით ანგარიშს არ უწევდა ნაციონალური მომენტს პოლიტიკურ საკითხთა გადაჭრაში. ამიერ-კავკასიის მაჰმადიანობა საქვეყნოდ ოფიციალად აცხადებს, რომ ამიერ-კავკასიის ოსმალეთთან მოსალოდნელ შეტაკებაში ისინი ნეიტრალობას დაიცავენ და მასთანვე უმატებენ, რომ გარანტიას ვერ მოიცემიან იმაში, თუ რა გზას დაადგება ამ შემთხვევაში უდისციპლინო, განუვითარებელი, პანისლამიზის იდეებით გაჟღენთილი და ოტტომანის ემისარების გავლენის ქვეშ მყოფი მაჰმადიანი მასა.

ორი რამ არის ყურადსაღები მაჰმადიანთა განცხადებაში: პირველ ყოვლისა ზედმეტად მტკიცდება უდიდესი მნიშვნელობა ეთნიური ნათესაობისა; ადერბეიჯანი გვიცხადებს, რომ მას საერთო არაფერი აქვს „მთლიან“ ამიერ-კავკასიასთან, პირიქით იგი მიეშურება ოსმალეთთან შეერთებისაკენ, ერთ-მოდგმის ხალხთან მეგობრულ კავშირის შესაქმნელად ან, უფრო მეტი, სახონთქროს სამფლობელოში მოთავსებისათვის; მეორე ახარე ფორმალური თვისებისაა უმეტესად: შეუძლებელია ორგანიულად მოწყობილ სახელმწიფოში რომელიმე ნაწილი გამოდიოდეს საკუთარი პოლიტიკური მიზნებით, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს არსებითს ინტერესებს, ჰფუშავს და არღვევს მის მთლიანობას. რა ფასი აქვს ისეთს სახელმწიფოს, რომელიც ვერ აწარმოებს ერთს მთლიან პოლიტიკას, მოკლებულია ყველა მოქალაქისათვის სავალდებულო მბრძანებლობას და ვერა ჰქმნის ერთს იმპერატიულ ნების-ყოფას? ჩვენ უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ ახლად შეხანხლული სახელმწიფო—ამიერ-კავკასიის რესპუბლიკად წოდებული—ნამეტნავად დაშორებულია ელემენტარულ სახელმწიფოებრივ თვისებებს, დამყარებულია ფიქციებზე, განუხორციელებელ ილუზიებზე. საკმარისი იყო ერთი პოლიტიკური ნაბიჯი, რომ გამორკვეულიყოს მისი სახელმწიფოებრივი არარაობა და ის, რაც გუშინ გვეჩვენებოდა ყველასათვის მისაღებ სახელმწიფოებრივ ძალდატანებაზე დაყრდნობილ უფლებად, დღეს განქრა, როგორც უბრწყო საპნის ბუშტი.

მაჰმადიანთა გამოსვლამ უკანასკნელი მახვილი ჩასცა მექანიკურად შექმნილ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს, დაუნდობლად გასრისა მისი „სახელმწიფოებრივი“ სახე და მკვიდრთა წინაშე ახალი პოლიტიკური პრობლემა დასახა: გართულებულ ცხოვრებამ ვერ შეითვისა ამიერ-კავკასიის პოლიტიკური უნიტარიზმი. შეიქმნა საჭიროება ეროვნულ სახელმწიფოთა დაარსებისა.

არის ამისათვის შესაფერი პირობები?

შესაძლებელია ეროვნულ-ტერიტორიული ჩამოყალიბება ჩვენი მხარისა?

ამაზე შემდეგ.

რ. ინგილო.

## ქართული პრესა

ჩვენი გაზეთის შაბათის ნომერში დაისტამბა წერილი იმ მუდმივ პროვოკაციის შესახებ, რომელსაც აწარმოებს „ერთობა“ ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წინაღმდეგ. ჩვენ ვწერდით:

„ამ ბოლო დროს გაზეთ „ერთობის“ პუბლიცისტები ისტორიულ კვლევა-ძიების სფეროში გადავარდნენ. ისე დღე არ გავა, რომ რაიმე ახალი და ორიგინალური აზრი არ გამოსთქვან საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესახებ. განსაკუთრებული ხალისით იგონებენ რევოლუციური ტერორის ხანას და იმ მომენტს, როცა „ხალხმა მეფეს და დიდებულებს თავები დააყრევინა ქვეყნის ღალატისთვის“. ამ დრამატიულ მოგონებებს ზედ ერთვის ცრუდ წოდებული ამიერ-კავკასიელი დემოკრატიის შესხმა სამართლიანობისა და სისასტიკისთვის და ბოლოს გაზეთ „ერთობის“ მეთაური წერილები ჩვეულებრივ შემდეგი პათეტიური ფრაზით თავდება: „ერიდეთ ხალხის ღალატსო“.

ჩვენი პრესის მარატებსა და ჰებერებს მხარს უმშვენებენ ჩვენი პარლამენტების რობესპიერები. ბოლო დროს სეიმი ისე არ შეიკრიბება, რომ სხდომაზე რომელიმე სოციალ-დემოკრატი არ გამოვიდეს და მომხიბვლელი სიტყვა არ წარმოსთქვას „მტრის აგენტებსა“, „ორგანიზაციულად მოწყობილ მოღალატურ ხელსა“ და სხვა ამგვარ იდუმალ და საშიშ საგნებზე“.

„სამშობლო განსაცდელშია“, ვწერდით ჩვენ. ყოველმხრივ მტერი გვესევია და შესაძლებელია, რომ დღეს თუ არა ხვალ საქართველოს მიწა-წყალზე- ოსმალეთის ჯარი შემოიჭრას. ასეთს დროს საჭიროა სასტიკი ზომების მიღება, რომ შიგნით მუხანათობამ თავი არ იჩინოს და გარედან ჯაშუშები არ შემოგვეპარონ.

„მაგრამ საქმე იმაშია, ვსწერდით ჩვენ, რომ ჩვენს სამშობლოს მარტო ოსმალეთის მხრივ როდი მოელის შემოსევის საფრთხე. კიდევ უფრო დიდია რუსეთის საფრთხე. ბოლშევიკები დამკვიდრდნენ ჩრდილო კავკასიაში, შეიძლება ხვალ ამიერ-კავკასიაში განაახლოს იერიშები. ჩვენი საზღვრები ჩრდილოეთით კიდევ უფრო ნაკლებია უზრუნველყოფილი, ვიდრე სამხრეთით. ამიერ-კავკასია სავსეა რუსოფილებით, სხვა არა იყოს რა თითქმის ნახევარი მილიონი რუსობა ჯერ კიდევ არ გასცილებია კავკასიონის ქედს. ამ ხალხმა თბილისში თავისი ეროვნული ყრილობა გამართა, სადაც ორატორები იმ აზრს გამოსთქვამდნენ, რომ რუსეთმა კავკასიაში უმაღლესი კულტურა შემოიტანა და სეიმს უფლება არ აქვს დამოუკიდებლობის აქტი მიიღოს.

თუ საქართველო ოსმალეთს გადაურჩა, საეჭვოა რომ შემდეგ თავი დაიფაროს რუსეთისაგან. რუსეთის სახელმწიფო საზღვრებში შესვლა კი ჩვენი სამშობლოსათვის ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე ოტომანურ იმპერიის ფარგალში მოქცევა. ბოლშევიკური რუსეთი ანარქიითაა მოცული. ეს ანარქია სრულიად გაანადგურებს ჩვენს ეროვნულს ენერგიას“.

მოსალოდნელია რუსეთში მონარქიის აღდგენა და ის კი ქართველ ხალხზე სასტიკს შურს იძიებს. ამას გარდა რუსეთის ხელ ახლა ჩვენში გაბატონებას მას შემდეგ რაც მან დაჰკარგა ევროპისკენ ყველა გზები, ჩვენს სრულს ეკონომიურს განადგურებას მოასწავებს. და ჩვენც ვწერდით, რომ სამშობლოს მოღალატეების ძებნა არ შეფერისთ იმათ, ვინც მუდამ იქით იცქირება, საიდანაც ჩვენ ეროვნული უბედურება მოგველის, „საქართველოს მოღალატეები იმან უნდა ეძიოს ვინც ქართულად გრძნობს და ქართულად აზროვნებს. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ამის უფლება არა აქვს“, დავასკვნიდით ჩვენ. რა გვიპასუხა „ერთობამ“ ამ აშკარად წამოყენებულს დებულებებზე:

„ჩვენი ნაციონალ-დემოკრატებიც როგორც გარდამავალი კლასის იდეოლოგები, რომელთაც რევოლუციამ საფუძველი გამოუნგრია, ოსმალეთისკენ იხედებიან.

მათ ეშინიათ რევოლუციური რუსეთის, სადაც მოსალოდნელია მომავალში რეაქციის გაბატონება, მაგრამ არ ეშინიათ რეაქციონურზე ურეაქციონერესი ოსმალეთის, სადაც საშუალო საუკუნის წესებია გამეფებული“.

რომელს სტრიქონში დაინახა „ერთობამ“ რომ ჩვენ მხოლოდ რევოლუციონური რუსეთის გვეშინია და არ გვეშინია რეაქციონურზე რეაქციონერი ოსმალეთის?

ჩვენ სოციალ-დემოკრატებზე ნაკლებ არ გვეშინიან ოსმალეთის, რომელიც ჩვენს საზღვრებზე ეროვნულ-დემოკრატებმა კი არ მოიყვანეს, არამედ რუსეთის სოციალდემოკრატიამ. ეს არ უნდა ავიწყდებოდეს გაზეთ „ერთობას“. რასაკვირველია, ის გვეტყვის, ოსმალები ბოლშევიკებმა მოიყვანეს, ჩვენ კი მენშევიკები ვართო, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ბოლშევიკები და მენშევიკები ეს ფრაქციებია ერთი და იმავე რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტიისა და თუ დღეს მათს შორის ბრძოლა სწარმოებს, ეს არის ბრძოლა უფრო ძალა-უფლებისთვის და არა პროგრამული. ამის შემდეგ „ერთობა“ ნუ დაივიწყებს ვინ არის მოღალატე და ვინ მოუძღვება ოსმალეთს.

## საქართველოს ეროვნული საბჭო

### მარტის 18-ს სხდომა

თავმჯდომარე ნოე ჟორდანია კრებას ხსნის $1^1/_2$ საათზე.

განსახილველი საგნები:

1. ჩვენი საერთო მდგომარეობა.
2. სექციები.
3. მიმდინარე საკითხები.

თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ საჭიროა დღიურ წესრიგიდან სექციების მოხსნა, ვინაიდან მოსასმენი გვაქვს თერგ-დაღესტნის ოლქიდან ჩამოსულ ისიდორე რამიშვილის და ყაზბეგის მოხსენება ხსენებულ მხარის მდგომარეობის შესახებ.

წინადადება მიღებულია.

### ჩვენი საერთო მდგომარეობა

**ზავის საკითხი**

ნოე ჟორდანია ეხება ჩვენს საერთო მდგომარეობას. იგი აღნიშნავს, რომ ეროვნულ საბჭოს წინა კრება ჰქონდა ერთი თვის წინ და ამ ხნის განმავლობაში კი ბევრი რამ შეიცვალა, მოხდა ბევრი რამ ისეთი, რაც ღირსია გულდასმით განხილვისა და ყურადღებისა. მაშინ, როდესაც ჩვენ გავიგეთ, რომ ბრესტ-ლიტოვსკში დადებული ხელშეკრულება ეხებოდა ამიერ-კავკასიას, ჩვენ გადავწყვიტეთ ყოველივე ზომების მიღება, რათა ჩვენ შეგვერჩინოდა ის ოლქები, რომლებიც ხსენებულ ხელშეკრულებით ოსმალეთის ხელში უნდა გადასულიყო. ამ მხრივ ჩვენ უკვე მივიღეთ რამდენიმე ზომა. პირველი ზომა ის იყო, რომ ამიერ-კავკასიამ საგანგებო დელეგაცია გაგზავნა ტრაპიზონს მოსალაპარაკებლად. დელეგაციის მუშაობა ჩვენ ვიცით. მათ მუშაობას ჯერ-ჯერობით კეთილი ნაყოფი არ გამოუღია. ამას წინად კი დელეგაციამ გამოგვიგზავნა მომხსენებლები, რომელთაც მოგვიტანეს ნაკლებ სასიამოვნო ამბავი შესახებ იმისა, თუ რა გადაწყვეტილებას ადგის ოტტომანთა დელეგაცია. მოლაპარაკებებისთვის საჭირო იყო და ჩვენ დელეგაციის თავმჯდომარე ა. ჩხენკელი აღვჭურვეთ განსაკუთრებულ უფლებით. მას მივანდეთ საზავო მოლაპარაკების წარმოება და ამასთან, თუ რამ კომპრომისი იქნება საჭირო, ამის შესახებ საბოლოოდ ჩვენ გვეკითხება.

**სამხედრო მდგომარეობა**

მეორე კითხვა, რომელიც ჩვენს წინ სდგას, ეს არის სამხედრო მდგომარეობის საკითხი. თუ ოსმალეთმა არ დაინახა, რომ ჩვენ მოგვეპოვება საკმაო ძალა, რათა წინ აღუდგეთ მის ჩვენს საზღვრებში შემოჭრას, იგი არაფერს დასთმობს თავის მოთხოვნილებაში. ამასთან ჩვენ ისიც ვიცით, რომ არც ოსმალეთსა აქვს იმდენი ძალა, რომ აქეთ ჩვენ გვეომოს და იქით კი ინგლისს. ჩვენ 3 კვირაც არის რაც ძალას ვკრებთ.

**მეზობელ ერთა განწყობილება**

რაც შეეხება მეზობელ ერთა განწყობილებას, უნდა აღვნიშნოთ, რომ სეიმში თათრებმა ოფიციალად განაცხადეს: „ჩვენ ოსმალეთის წინააღმდეგ ვერ წავალთ, ხოლო თქვენ იმედი გქონდეთ, რომ არც თქვენ გიღალატებთ და ნეიტრალიტეტს დავიცავთო“. ჩვენს შეკითხვაზე, შეუძლიანთ თუ არა მოგვცენ იმის გარანტია, რომ არც მათი ხალხი წავა ჩვენს წინააღმდეგ, რომ ისიც ნეიტრალიტეტს დაიცავს,—მათ გვიპასუხეს, რომ ასეთ გარანტიის მოცემა მათ არ შეუძლიანთ, ვინაიდან შესაძლოა მათ ხალხი არ გაჰყვეს. კერძო საუბარში კი მაჰმადიანებმა განაცხადეს: თუ ჩვენ ვართ ომის წინააღმდეგნი, თქვენ არ შეგიძლიანთ ომი დაიწყოთ, თქვენც წინააღმდეგნი უნდა იყვნეთო.

**ფრონტის დაცვა**

როგორც სჩანს ფრონტის დაცვა მოგვეხდება მხოლოდ ორ ძალით, სახელდობრ: ქართველების და სომხების ძალებით. შესაძლოა ჩვენ რუსები და ბერძნებიც მოგვეშველნენ. ჩვენ უნდა დავიცვათ ბათომის ოლქი. უნდა ვსთქვათ, რომ ბათომის ოლქის მცხოვრებლები მეტად შეაშფოთა მოსალოდნელ ამბებმა. მთელი გურია ფეხზე სდგას. ზოგიერთა სოფლები განაჩენებსაც კი აძგენენ და მთლად ერთიანად ჩამოდიან ჯარის ნაწილებში ჩასარიცხავად. დღეს საჭიროა მხოლოდ ჯარის გაწრთვნა. ჩემს ბათუმში ყოფნის დროს ხშირად მოდიოდნენ ჯარების წარმომადგენლები და ხელმძღვანელობას მოითხოვდნენ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ თვით ოფიცრები არ სდგანან ზოგიერთს შემთხვევაში მომენტის ჯეროვანად შეგნების სიმაღლეზე. ამ გარემოებას ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ სამხედრო სექციასაც. ჩვენ იმედს ვამყარებთ აგრეთვე საქართველოს ლაშქრის ახალ მთავარ სარდალ გაბაშვილზე. იმედია იგი შესძლებს ამ საქმის გამოკეთებას.

**ფინანსიური მდგომარეობა**

ჩვენ მეტად ცუდ ფინანსიურ მდგომარეობაში ვიმყოფებით არა გვაქვს ფული. ფული არც ჩვენს მთავრობას მოეპოვება. მთავრობა ფულს ჯერ-ჯერობით მხოლოდ სამხედრო საჭიროებათათვის გვაძლევს. მაგრამ ამასაც ხომ მალე საზღვარი დაედება. საჭიროა ფულის შესაძენად ზომების მიღება. ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, მოვახდინეთ ფინანსიურ კომისიის რეორგანიზაცია. ამ კომისიის თავმჯდომარედ ავირჩიეთ და მის ამხანაგებად ი. ლორთქიფანიძე და კ. კანდელაკი, დათეშიძე. მოვიწვიეთ აგრეთვე ვაჭრების კრება. მათ დახმარება აღგვითქვეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით აღთქმა აღთქმადვე დარჩა, თუმცა ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ ვაჭრები თავიანთ აღთქმას აასრულებენ. დასასრულ ჩვენ ვფიქრობთ რომ მაინც საჭიროა ერთნაირ პოლიტიკურ და ფინანსიურ ძაფის გაბმა ჩვენსა და ერთ ერთ ევროპიულ სახელმწიფოს შორის, რათა გაჭირვების დროს შეგვეძლოს მისგან სარგებლობა.

აი მოკლედ ის ზომები, რომელიც ჩვენ გადავდგით და რომელთა გადადგმასაც ვაპირებთ. აი ის პოლიტიკა, რომელსაც აქამომდის ვაწარმოებდით და რომლის წარმოებასაც ვაპირებთ შემდეგში.

თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ იწყება კამათი. სიტყვას ღებულობს **გერონტი ქიქოძე.**

### გ. ქიქოძის სიტყვა.

ბატონებო, მთავარი საკითხი, რომელიც დღეს ქართველი ერის წინაშე სდგას, ზავის საკითხია, მისი სასურველად გადაჭრა კი შეუძლებელია, თუ საფუძვლიანად არ შეიცვალა კურსი ეროვნული პოლიტიკისა. მე მგონია, რომ საზავო დელეგაციას, რომელიც ტრაპიზონში ამიერ-კავკასიის სეიმის სახელით ლაპარაკობს, გაუჭირდება სამშვიდობო ხელშეკრულების დადება. მიტომ, რომ საფიქრებელია, არც ოსმალეთი და არც გერმანია სცნობენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკას. გარდა ამ მოსაზრებისა, რომელიც ყველასათვის ცნობილია, არსებობს მატერიალური ხასიათის მოსაზრებებიც, რომელნიც ოტტომანურ იმპერიის მთავრობას ხელს უშლიან რომ ამიერ-კავკასია საერთაშორისო უფლების დამოუკიდებელ ობიექტად აღიაროს. როგორც მოგეხსენებათ, ოსმალეთმა თანამედროვე ომში დიდი სამსახური გაუწია თავის მოკავშირეებს. გარდა საკუთარი ფრონტისა, ოსმალოს ჯარი თითქმის ყველა ფრონტებზე იბრძოდა ამ ომის დროს. ცხადია, რომ ცენტრალური სახელმწიფოები ისე ზავს ვერ შეჰკრავენ, თუ ოსმალეთი არ დააკმაყოფილეს. მაგრამ როგორ შეიძლება თანამედროვე საერთაშორისო პირობებში ოსმალეთის დაკმაყოფილება? თქვენ გეხსომებათ, რომ სანამ ბულგარეთი ომში ჩაერეოდა, ოსმალეთი იძულებული იყო მისთვის მდინარე მარიტის მარჯვენა ნაპირი დაეთმო იმ რკინის გზითურთ, რომელიც ფილიპოპოლს და დედეაგაჩის ნავთსადგურს აკავშირებს. ამგვარად ევროპის კონტინენტზე ოსმალეთმა თვით დაჰკარგა ტერიტორია, ამ მხრივ ის სანაზღაუროს ვერ მიიღებს. ამას გარდა ინგლისმა ოსმალეთს ჯერჯერობით ჩამოაცალა არაბულ ენაზე მოლაპარაკე ხალხით დასახლებული პროვინციები: შუამდინარე ბაღდადითურთ, სამხრეთი სირია და სხ. ამისდა მიუხედავად ოსმალეთი მაინც გამარჯვებულ კოალიციას ეკუთვნის და კომპენსაციას ელის გამარჯვებისათვის. ადვილი გასაგებია, ამ კომპენსაციის მისაღებად ხელს იქით იწვდის, საიდანაც ნაკლებ წინააღმდეგობა ხდება. ამიერ-კავკასია უპატრონოდ დარჩენილი ქვეყანაა, გასაკვირალი არ არის, რომ ოსმალეთი მის დაპატრონებას ფიქრობს. არც გერმანია, არც სხვა მოკავშირეები ოტტომანურ იმპერიას წინააღმდეგობას არ გაუწევენ ამ მხრივ. ინგლისს იმდენი ძალა არ შესწევს, რომ რაიმე რეალური შეფარველობა გაგვიწიოს. ბოლშევიკურმა რუსეთმა ჩვენი ქვეყნიდან ჯარი გაიყვანა და სამი საუკუნის ციხე-სიმაგრე მოწინააღმდეგეს დაუთმო. ამას გარდა ბრესტ-ლიტოვსკში ლენინის მთავრობა დასთანხმდა, რომ ოსმალეთს არა თუ წინააღმდეგობას არ გაუწევს, დაეხმარება კიდეც აღმოსავლეთ ანატოლიის საზღვრების აღდგენაში. აღმოსავლეთ ანატოლიის საზღვრები ბუნდოვანი გამოთქმაა. ოსმალეთს შეუძლია ამ საზღვრებში ამიერ-კავკასიის დიდი ნაწილი მოაქციოს: მით უმეტეს, რომ ამიერ-კავკასია, როგორც პოლიტიკური ცნება ჯერ კიდევ არ არსებობს, და თუ არ ვცდებით, ოსმალურ ენაში არც კი უნდა მოიპოვებოდეს ასეთი სიტყვა.

რასაკვირველია, ოსმალეთის ზოგიერთ პრეტენზიებს ამიერ-კავკასიაზე რეალური საფუძველი აქვს. როგორც ბ. მომხსენებელმა სთქვა, ადერბეიჯანის წარმომადგენლებს თბილისში მთავრობისთვის ოფიციალურად განუცხადებიათ, რომ თუ ოსმალეთ-კავკასიის ომი დაიწყო, ადერბეიჯანის მაჰმადიანობა ნეიტრალიტეტს დაიცავს. რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ასეთი განცხადება შესაძლებელი იქნებოდა ამიერ-კავკასია რომ მართლაც მთლიანი სახელმწიფო ყოფილიყო და არა შემთხვევითი მექანიკური კონგლომერატი? მე კიდევ მგონია, რომ თუ ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩავებით, ადერბეიჯანის მხრივ ნეიტრალიტეტს კი არა მტრულ მოქმედებასაც უნდა ველოდეთ. ეს ყოველ შემთხვევაში უფრო გასაგები იქნებოდა, ვიდრე მათი დახმარება ან მათი ნეიტრალიტეტი. საქმე იმაშია, რომ ადერბეიჯანში იმავე რასსიული წარმოშობის, რწმენის და ზნეჩვეულების ხალხი სცხოვრობს, რაც ოსმალეთში, ლიტერატურული ენაც კი ერთი აქვთ. განსხვავებაა მხოლოდ ისტორიულ ტრადიციებში: ადერბეიჯანი წარსულში ან ცალკე სახანოებს წარმოადგენდა და სპარსეთის სამფლობელოში შედიოდა. მაგრამ დღეს ასეთ მცირედ განსხვავებას აღარ აქვს მნიშვნელობა. დღეს ჩვენ თვალწინ ეროვნებათა კონსოლიდაცია ხდება. მოსალოდნელია, რომ გაერთიანების სტიქიონური პროცესი თურქულ მასსასაც მოედება: ადერბეიჯანი ალბათ მოისურვებს ოსმალეთთან შეერთებას ან შეკავშირებას. მე გეკითხებით: რა ძალა გვაქვს ჩვენ, ან რა უფლება რომ ამ სამართლიან სურვილს წინააღმდეგობა გავუწიოთ? ერთა თვითგამორკვევის პრინციპის მიხედვით ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება ასეთი წინააღმდეგობის გამართლება.

სომხური მოსახლეობა სოლებივითაა შეჭრილი ოსმალეთსა და ადერბეიჯანს შორის. მაგრამ ამ ორი თურქული ტომის გათიშვა საბოლოოდ არც სომხობას შეუძლია. არასოდეს არც ოსმალეთი და არც გერმანია არ სცნობენ სომხეთის ტერიტორიულ ავტონომიას ან მით უმეტეს სრულს დამოუკიდებლობას. ეს საკითხი უკვე საკმაოდ გამორკვეულია გერმანულ ლიტერატურაში, მე აქ მხოლოდ რორბახის შრომებს გავახსენებდით. ჩემის აზრით, სომხებს ისღა დარჩენიათ, რომ შეურიგდნენ—უტერიტორიო ერის ბედს და კულტურულ ავტონომიას დაკმაყოფილდნენ ოსმალეთისა თუ საქართველოს საზღვრებში. სულ სხვანაირია საქართველოს მდგომარეობა. ოსმალეთმა წარსულის გაკვეთილებიდან იცის რომ ადვილი არ არის ქრისტიანული ერის დაპყრობა და მონელება: მით უმეტეს, როცა ამ ერს თავისი საკუთარი ტერიტორიაც აქვს და სულიერი კულტურაც. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ კონსტანტინოპოლის მთავრობა ბევრს დაგვითმობს, თუ ქართველები ცალკე გამოვალთ და ოსმალეთსა და აღმოსავლეთ კავკასიას ხელს არ შევუშლით თავიანთ ურთიერთობის მოგვარებაში. ამას სხვათა შორის საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობაც გვიკარნახებს. მიტომ რომ თუ სომხები, ჩვენის იმედით, ომში ჩაებნენ და თუ მათ მიწა-წყალზე ბრძოლით ოსმალოს ჯარი შემოიჭრა, შეიძლება სომხის ერის ფიზიკური არსებობის საკითხი დაისვას. თვით სომხის ერს კი, როგორც არზრუმის გაკვეთილმა დაგვიმტკიცა, სამწუხაროდ ძალა არ შესწევს თავისი სამშობლოს დასაცავად. ჩემი სიტყვის პრაქტიკული დასკვნა შემდეგია: საქართველოს ეროვნულმა საბჭომ უნდა შეადგინოს ეროვნული მთავრობა, რომელიც დამოუკიდებლად აწარმოებს საზავო მოლაპარაკებას. თვით საზავო მოლაპარაკებაში უწინარეს ყოვლისა ჩვენი ტერიტორიის ინტეგრიტეტის დაცვას უნდა შევეცადოთ. თუ უბედურება გვეწვია და სხვა გზა არ გვექნა, უფრო ადვილად უნდა დავსთანხმდეთ ჩვენი ერის სუვერენული უფლების შეზღუდვას, ვიდრე რომელიმე პროვინციის ან მნიშვნელოვანი ქალაქის დათმობას. მიტომ რომ არც პოლიტიკურად და არც ეკონომიურად ოსმალეთის პროტექტორატი ჩვენთვის ისე საშიში არ იქნებოდა, როგორც ჩვენი ცოცხალი ეროვნული სხეულის გაჩეხა.

(დასასრული ხვალ)

## ომი

### ამერიკის სამხედრო მზადება

შეერთებულ შტატების მთავრობა ავიაციის საქმისთვის თხოულობს 450 მილიონ დოლარს. ამ საქმისთვის წინად გადებულ ფულთან ერთად 1090,000 დოლარს შეადგენს. სამხრეთ შტატებიდან მალე 70 ათას ზანგს მოიწვევენ. უფროსი სამხედრო-სამედიცინო ექიმი იუწყება, რომ ლაშქარს მოწყალე დებიც არ დააკლდება. გენერალ-მაიორმა პეიტონ კ. მარჩმა განაცხადა, უსაცილოდ გავიმარჯვებთო?

### ბოლშევიკების გმირობა

მთავარსარდალი გერევალოვი სახალხო კომისარს ანტონოვს აცნობებს:

„რეგულიარ ჯარებმა თავი დამანებეს, მხოლოდ რამდენიმე ასეული წითელგვარდიელი შემორჩილება. ოდესის საბჭომ ოდესის პროლეტარიატის უმწეობის და შეუგნებლობით თავის მართლებით არცერთი ბატალიონი არ გამოგზავნა. ჩვენმა ჯარმა უბრძოლველად დასტოვა ჟმერინკა. გერმანელი მოსახლენი და ტყვეები თავს გვესხმიან დნესტრის ნაპირზე. მდგომარეობა მწვავდება და შველას არსაიდან არ ველით. სად-. „დნოზე“ ვაგონები არ იშოვება. ირგვლივ ღალატია. მაშ რით აიხსნება ის, რომ ყუთებით გვიგზავნიან უწამლო პატრონებს.

### კავკასიის ფრონტზე

ზღვის ნაპირზე მდგომარეობა უცვლელია. აჭარის წყლის მიდამოებში (ბათომიდან 20 ვერსზე სამხრეთ-აღმოსავლეთით) ოსმალთა ჩეტნიკებთან ბრძოლა გავმართეთ, რომელთაც ოსმალოს ოფიცრები მეთაურობენ. აჭარლეთა რაზმები, რომელნიც ჩაქვის ხეობაში მოიწყვეს, ხალაში შევაჩერეთ. ოსმალოს ჩეტნიკები გამოჩნდნენ სოფ. დაგვასთან (ქობულეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით). სარიყამიშის მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია, მხოლოდ ბარდუსის არემარეში ჩვენი მზვერავები ქურთებს შეეტაკნენ. ჩვენი ნაწილები ბაიაზეთიდან ალაშქერთსკარაკლისამდე მივიდნენ.

16 მარტს „ორიონს“ ატყობინებენ: კავკასიის ფრონტიდან სანუგეშო ხმები მოდის. ჩვენს ჯარებში გმირული სულის განწყობილებაა. ბარდუსი (სარიყამიშის ჩრდილო-დასავლეთით) და ბაშკეი (სარიყამიშის ჩრდილოეთით) ოსმალები უკან იხევენ. ისინი ყარაურგანისკენ იწევდნენ, მაგრამ ჩვენ ბარდუსისკენ და იმის იქითაც დავახევინეთ. ცნობებია, რომ ალაშქერთი ჯერ არ აუღიათ ოსმალებს.

17 მარტს სროლის დროს დაიჭრა პრაპ. ჭელიძე. ჩაქვის ხეობაში, ხალასთან ჩეტნიკებთან სროლაა. სარიყამიშის მიმართულებით მტერს ზაიკუსკენ დავახევინეთ. ყარაკურტის რაიონში ავიღეთ სოფელი ეგუნ-ჰასანი (ყარაკურთის სამხრეთით 7 ვერსზე) ჩვენმა მზვერავებმა ს. კარაკილისს (ყარაკურთის სამხრ.-დასავ. 18 ვერსით) და ზარაფხანა კარაკილისის რაიონში, ყარსის ს. მხრეთ-დასავლეთით (30 ვერსზე) ჩეტნიკებთან სროლაა მოუხდათ. დანარჩენ ადგილებში მდგომარეობა უცვლელია.

## რუსეთი

### ლაზარის ინსტიტუტი

გარდაწყვეტილია ლაზარის ინსტიტუტის გადმოტანა ეჩმიაძინში, სადაც ამ დღეებში გადმოვლენ სომეხი სტუდენტები.

### ყალბი ფული

როგორც პეტროგრადიდან გვატყობინებენ, რუსეთში ამ ჟამად ხმარებაში გასულია 20 მილიონ მანეთის ყალბი ფული. იანვარში, პეტროგრადის ბანკებში მარტო 3 მილიონის ორთუმნიანები შეუტანიათ.

### მოსკოვი და როსტოვი

მოსკოვიდან ჩამოსულები უარჰყოფენ გერმანელებისგან მოსკოვ-როსტოვის აღებას. როსტოვში ბოლშევი-

კები არიან. მოსკოვის საბჭოთა მთავრობა ლენინის მეთაურობით სწრაფის მოლოდინში აპირებს ჯერ ნიჟნი-ნოვგოროდში და მერე ყაზანში გადასვლას. ამბობენ რომ კურსკის, ტულის და ორლის აღების ხმებიც ტყუილია.

## ფინლიანდიაში

### პრინცი ოსკარი ფინლიანდიის ტახტზე.

სტოკჰოლმის გაზეთი „Social demokraten“-ი იუწყება: ფინლიანდიელები სთხოვენ გერმანიას: ნება დაგვრთეთ ფინლიანდიის ტახტზე პრინცი იოსკარ პრუსიელი დავსვათო.

## უკრაინაში

### საზავო დელეგაციის სამადლობო დეპეშა.

ბერლინიდან იუწყებიან: უკრაინის საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ გოლუბოვიჩმა ბრესტიდან გერმანიის კანცლერს სამადლობო დეპეშა გაუგზავნა. გოლუბოვიჩი მადლობას უძღვნის უკრაინელების და გერმანელ ჯარების მიერ კიევის აღების გამო. დეპეშაში გოლუბოვიჩი კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ორივე მთავრობის და ერის შორის მეგობრული განწყობილება მყარდება. გერტლინგმა პასუხში უკრაინის ახალგაზდა რესპუბლიკას გამარჯვება უსურვა.

### დ. რუბინშტეინი სპარსელ ელჩად.

ცნობილი ბანკირი დ. მ. რუბინშტეინი უკრაინაში სპარსელ ელჩად დაინიშნა.

## უკანასკნელი ცნობები

მარტის 17. 15 საათი. ართვინის მიმართულებით აჭარლებმა აიღეს და გაამაგრეს სოფლები მაჭახლის პირი, მაღლობები 415 და 280. ჩაქვის ლელეში აჭარლებმა დაიპყრეს სოფ. ჩაქვის თავი.

სარაყამიშის მიმართულებით ზარდუსის რაიონში ოსმალებს და ქურთებს კიზილ კილისაკენ დაახევინეს და ზარდუს-ზაკომზე შედგნენ. ალაშქერტს ველზე ბაიზეთიდან გაგზავნილ მზვერავებს კარაკალისამდე ოსმალთა რეგულიარული ჯარი არ შეხვედრია.

შტაბლოგი

ოდესა. მარტის 29. (მიღებულია გემ „ოსმანიე“-დან). ბათუმი. ქალაქის თავს. შეგვატყობინეთ, არის თუ არა ბათუმში ნავთის და მაზუთის საწყობები. რაც შეიძლება მალე გამოგზავნეთ გემი ნავთის გადმოსაზიდათ. გვაცნობეთ, მოქმედებს თუ არა ნავთის მილი ბათუმსა და ბაქოს შუა?

ოდესის ქალ. თავი ბოგუცკი.

## რადიო-ბიულეტენი

### გერმანელების შემოტევა

**უხათაურო.** მარტის 29. მოდენა. გერმანელების ფრონტის გასაფართოებლად გერმანელებს მანევრები დასპირდებათ და განსაკუთრებულ ძალით აწვებიან ამ მხარეს. სხვაგან შეჯგუფება გაძლიერდებათ. ამნაირად შესაძლებელია ქ. დიდუზე გამოლაშქრება. იქ უკვე დაიწყო ბრძოლა. ფრანგები, ინგლისელები და ამერიკელები ერთმანეთში არეულ ბრძოლას აწარმოებენ, თუმცა ფრანგთა დივიზიები უმეტეს ნაწილად გერმანელთა მარცხენა ფლანგის წინააღმდეგ სდგას. გერმანელების გამარჯვების გავლენით გერმანელთა ფასიანი ქაღალდების ფასები შვეიცარიის, ჰოლანდიის, შვეციის ბაზარზე მაღლა იწევს. მოკავშირეთა ქაღალდების ფასი ეცემა პარიზის, ლონდონის და ნიუიორკის ბაზარზე.

**პარიზი.** მარტის 30, (ეიფელის კოშკიდან მიღებული) ოფიციალი. დიდი დანაკლისით დასუსტებულ გერმანელებმა დღეს ძლიერი იერიშები მოიტანეს, მხოლოდ ცალკე ადგილებში კერძო ხასიათისა. მორეილის ჩრდილოეთით მათ სრულებით ვერ გაიმარჯვეს. მხოლოდ სენ-ჟერ-ან-სენტერთან ფიცხელი ბრძოლის შემდეგ დაიპყრეს სოფელი მარეილისა და სინიის შუა. ეხლახან მიღებულ ცნობებით, ფრანგების ჯარმა მონტიდთან თავის წინანდელი მდგომარეობა აღადგინეს, ტყვედ წამოიყვანეს 100 კაცი და ხელთ იგდეს 4 ზარბაზანი და დ'ორვილიეს მიდამოებში საგრძნობლად წაიწიეს წინ. მდ. უაზის ფრონტზე გერმანელები მდინარეზე გადავიდნენ. შონთან, სახელდახელო ხიდის გაკეთებას აპირებდნენ გადასასვლელად, მაგრამ ფრანგებმა ხიდის ყუმბარები დაუშინეს გერმანელთა ამ რაზმს და ტყვედ წაიყვანეს. გერმანელთა შიფრი ფრანგებმა ხელში ჩაიგდეს. ფრანგების მიერ დადგმულმა 100-ზე მეტმა ზარბაზანმა სროლა აუტეხა გერმანელთა მძიმე არტილერიას და სამუდამოდ გაანადგურეს იგი. ფრონტის სხვა ნაწილებში აღსანიშნავი არაფერია.

## ქრონიკა

### თბილისი.

◆ მოსკოვიდან 6 ჩამოვიდა კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი და ჩვენს რედაქციას ესტუმრა.

◆ **ეგ. გეგეჭკორი ქუთაისში.** მარტის 17 ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარე ეგ. პ. გეგეჭკორი ქუთაისს გაემგზავრა. მის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრი რამიშვილი. სამხედრო საქმეთა მინისტრის ადგილზე გენ. ოდიშელიძე.

◆ **თბილისის სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეების კრება.** მარტის 18 მოხდა თბილისის სახელმწიფო სხვადასხვა დაწესებულებების მოხელეთა კრება. კრებას დაესწრო საკმაო დიდი რიცხვი. კრებამ ერთხმად საჭიროდ სცნო ქართველ მოხელეთა კავშირის დაარსება და მომზადება თანდათანობით ნაციონალიზაციის გასაყვანად. აირჩიეს შვიდი კაცისაგან შემდგარი კომიტეტი, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს დებულებანი და მოიწვიოს პრესის საშუალებით ფართო საზოგადო ყრილობა.

◆ **ქართველ სტუდენტთა სამედიცინო წრე.** სამშაბათს, 20 მარტს, საღამოს 5 საათზედ დანიშნულია ქართველ სტუდენტთა სამედიცინო წრის მთარგმნელთა ცენტრის კრება ქართულ გიმნაზიაში (წრის ოთახში).

### პატარძეული

◆ ქურდობა გახშირდა. ბოლო დღეებში 12 ქურდი აღმოაჩინეს. მათ სიკვდილით გასამართლებას უპირებენ.

### ალგულალი

◆ ამ დღეებში იერის ვენახებში გასტეხეს აღაპაპაშვილის სახლი, ქურდები აღმოაჩინეს.

### ს. საგარეჯო

◆ გარედ-კახელმა ქართველ გრიგორიანებმა უარი განაცხადეს სომხის ეროვნულ ჯარებში შესვლაზე. ისინი ქართულ ჯარში ჩარიცხვას მოითხოვენ.

### პარტიული ცხოვრება

◆ **თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის კრება** დანიშნულია დღეს ნაშუადღევის 2 ნახევარ საათზე საორგანიზაციო საკითხების გამოსარკვევად. კრება გაიმართება თბილისის კომიტეტის ბინაზე (თამამშევის ქარვასლა, ყოფილი მაღაზია ძმ. ფორაქიშვილისა). კომიტეტის კრება გაიმართება იქვე ხვალ 22 მარტს, საღამოს სწორედ 6 საათზე. დასწრება აუცილებელია.

◆ **ეროვნულ დემ. სტუდენტების კრება.** ოთხშაბათს, მარტის 21-ს, საღ. 5 საათზე, მთავარ კომიტეტის ბინაზე დანიშნულია ეროვნულ - დემოკრატ სტუდენტების კრება.

### საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქართველ ტეხნიკოსთა საზოგადოების კრება.** დღეს, საღამოს 6 საათზე, ფრეილინის ქუჩა № 11 შესდგება ქარ. სატეხნიკო საზოგადოების კრება, რომელზედაც გრ. გეგეჭკორი წაიკითხავს მოხსენებას ბორჯომის მამულის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ. დასწრება შეუძლიან არ წევრთაც.

◆ **სახალხო მეურნეობის სექციის კრება.** დღეს, დილის 10 ს. და 30 წ. ქუთაისის სააღგილ მამულო ბანკის ბინაზე (ფრეილინის ქ. № 1) შესდგება საქ. ერ. ეროვნული საბჭოს სახალხო მეურნეობის სექციის კრება. წევრებს სთხოვენ დროზედ მოვიდნენ.

## ქართველ ქალებს*)

ნეტავი მოიპოვებოდეს სიტყვა, ცეცხლის სიმხურვალით აღგზნებული, რომ ჩადვისროლოთ ქართველი ხალხის გულში, ასე ცივად, მშვიდად რომ ჰფეთქს, მოესპოთ მისი დამღუპველი გულგრილობა და ამის ნაცვლად მივცეთ მშფოთვარე მოუსვენრობა!

ნეტავი მოიპოვებოდეს სიყვარული, გრძნობის ძალით დაჯილდოვებული, რომ მისი ძახილი ჩასწვდეს ქართველი ხალხის დახშულ, მოდუნებულ სმენას და გააგონოს მას სამშობლოს სასოწარკვეთილი ღაღადი.

ჩვენ პატარა ქვეყნის გარშემო აღგზნებულია მოქალაქეობრივი და ერთა შორისი ბრძოლა, წითლად იღებება ველ-მინდორი, ეძებს შურისძიებისთვის ამოწვდილი მახვილი, შფოთავს და ბობოქრობს ველური ინსტინქტებით გადაწინაენებული ბრბო და აჰა, მალე ჩვენც დაგვეხალებს თავს ყორანი, გაზაფხულის სიოზე აწვდენებულ ველს წითელი ზოლით აფერადებს ქართველი ხალხის სისხლი; ზარით და გრიალით შეინძრევიან მთები; ლაჟვარდ კამკამა ცას გასჭვარტლავს ტყვია-წამლის შავი ნისლი...

ომი მთელი თავის საშინელებით გვევლინება ანაზდეულად. მაგრამ „პირისა შინა გამაგრება, ისე უნდა ვით ქვითკირისა“! უნდა გავსალკლდევდეთ, ზეზე წამოვდგეთ. ყველანი ერთად, ერთსულოვნად! ან სიცოცხლე თავისუფალი, ან სიკვდილი სახელოვანი! და აი აქ ქართველო ქალო, შეასრულე შენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე სუსტი ხარ, მაგრამ მაინც ბევრს გააკეთებ: შემოიკრიბე შენი სულიერი, ფიზიკური ძალა და ამაყად დასდექი მამაკაცის გვერდით სამშობლოს გადასარჩენად. თუ ეხლა არ უღალატებ შენ ადამიანურ მოვალეობას, მომავალი ღირსეულად დაგიფასებს ამაგს და იქნები თავისუფალი, სწორი თავისუფალთა შორის!

აიხთე ძლიერის ცეცხლით, შეაძრე მთა-მინდორი სასოწარკვეთილი კივილით: სამშობლო ჩვენი იღუპება, ვაჟკაცნო, მამულიშვილნო, მოდით, შემოკრბით! სოფლად, თუ ქალაქად მოჰფინე ეს შემზარავი სიტყვები და უქმად, უკვალოდ არ ჩაივლის შენი ძახილი, შენი ვედრება.

მოუწოდე ვაჟკაცთ საბრძოლველად და შენც გვერდში ამოუდექი მას, ხელი შეუწყე. არ უნდა მოაკლდეს დაჭრილს, დაკოდილს ზრუნვა და მოვლა, არ უნდა მოაკლდეს წამალი, არ უნდა მოაკლდეს მეომარს საჭმელი, სამოსი... და ყველა ამაზედ შენ უნდა იზრუნო. ამისთვის საჭიროა შეკავშირება, დარაზმვა. ყველა ქართველი ქალი ვინაც შეუგნია დღევანდელი საბედისწერო წუთი უნდა შეუერთდეს, ხელი-ხელს მივცეთ და ენერგიული მუშაობით შევუდგეთ ამ ძნელ საქმეს. თბილისში ეს ერთი თვეა რაც არსებობს ქართველ ქალთა მშრომელი რაზმი, რომელიც ავად თუ კარგად მაინც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. ამ რაზმის კომისია მოგიწოდებთ, ქართველნო ქალებო შემოგვიერთდეთ. ჩაეწერენით წევრად გავაძლიეროთ რაზმი რიცხვით, რათა ამით გაძლიერდეს მისი საქმიანობაც, საქმე ბევრია და მეტად საჭირო! ნუღარ დააყოვნებთ, მოდით დღესვე... ცნობების მიღება და რაზმში წევრათ ჩაწერა შეიძლება ეროვნულ საბჭოში, განათლების სექციაში მსახურ, ხარებაშვილის ქალთან, დილის 11 საათიდან—2 საათამდე. ქართველ ქალთა მშრომელი რაზმის კომისია.

## ქართველ ახალგაზდობას

სამი ათას წელზე მეტი გვიცხოვრია
როგორც ცრუს,
მრავალ შავს დღეს მოვსწრებივართ
მაგრამ ბევრსაც ბედნიერსა,
უსიკვდილოთ არვის უთმობთ
ჩვენ სამშობლოს მშვენიერსა.
და გვიმღერნია, კვლავაც ვიმღერთ
ჩვენს ტკბილ მრავალ-ჟამიერსა.
სანამ იდენს ალაზანი, ჭოროხი და
რიონ-მტკვარი,
სანამ თავზე მცველად გვადგას
ცივ-გომბორი, ლიხ-მყინვარი,
არ მომკვდარა, არც მოკვდება
საქართველო მოცინარი,
და მეტად აღარ შემცირდება
მისი სივრცე, მისი საზღვარი.

აკ. შანიძე

ქართველო ახალგაზდობავ! თქვენი სამშობლო საქართველო განსაცდელშია. მას ხარბი თვალით უყურებს ისტორიულად ჩვენი დაუძინებელი მტერი ოსმალო. უკანასკნელს მადა აღძვრია და სურს ისედაც დაკლებულ საქართველოს მთლიანი ტერიტორია შუა გაჩეხოს, დაიჭიროს საქართველოს გასავალი კარები და ამით დიდი ხნით შეაჩეროს ქართველი ერის კულტურული და ეკონომიური წინსვლა. გათავხედებულ მტერს არ აკმაყოფილებს ისა, რომ მან ორასი წლის წინედ გაანადგურა საქართველო, ცეცხლითა და მახვილით დაიპყრო აჭარა-ქობულეთი, და მათ თავისებური სული ჩაჰბერა, სწორედ დღეს, ძმებო, როცა ჩვენ დაუახლოვდით ჩვენ ვერაგულად დაკარგულ აჭარა-ქობულეთლებს და ძმური ხელი გაუწოდეთ, სწორედ დღეს, როდესაც ბევრმა მათგანმა იგრძნო დაკარგული კერის სითბო, გაუმაძღარი მტერი ლამობს საქართველოს უუმშვენიერეს და უუნიშვნელოვანეს ნაწილთან ერთად მოგლიჯოს ქართლის დედის განწირულ ძუძუებს ახლად ნაპოვნი შვილები. დღემდი ოსმალეთი თავისებურად გველაქუცებოდა ზავის ჩამოგდებისაც კი, ვითომ, თავად ჰლამობდა, და გვეუბნებოდა, ჩვენ ქართველებთან არავითარი სამტრო არ გვაქო, მაგრამ საზავო მოლაპარაკებამ მათ ნიღაბი ახადათ და შეძლება მოგვეცა მათი ხარბი თვალები დაგვენახა. ოსმალოს დელეგაცია, როგორც გადმოგვცემენ, დაჟინებით მოითხოვს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების განხორციელებას, რომლითაც საქართველოს უნდა მოსწყდეს საუკეთესო ნაწილები.

მამულიშვილნო, ცბიერმა მტერმა ჩვენ ვერ უნდა შეგვაშინოს, მათი თვალების ცეცხლი ჩვენს თვალებშიაც ცეცხლს უნდა ანთებდეს და ცეცხლს გაცილებით უფრო ძლიერს, უფრო მწველს, რომ ჩვენ თვალებში ანთებულმა ცეცხლმა ერთხელ და სამუდამოდ ფერფლათ აქციოს ჩვენი ისტორიული დაუძინებელი მტერი.

ასეთ განსაცდელის ჟამს, ჩვენ არ გვშვენის გაჩუმება, ამით ჩვენ ძმებო, ჩრდილს ვაყენებთ ჩვენ დიდებულ მამა-პაპათა საფლავებს, ჩვენი მოვალეობაა დავივიწყოთ ყოველივე ქეიფი და დროს ტარება, დავივიწყოთ ჩვენი თავიც კი, ვეზიაროთ ყველანი ეროვნულ სულით, ეროვნულ აღფრთოვანებით ჩავეწეროთ ყველანი ჯარში, შევქმნათ ძლიერი ქართული ლაშქარი, და შევსძახოთ გათავხედებულ მტერს: „შორს ჩვენგან შენი ბინძური ხელები“-თქო, მერწმუნეთ რომ ასეთ ჩვენ შეძახილს ანგარიშს გაუწევენ.

ქართლოსის შვილნო! სეირნობა და ქეიფობა იმ დროს, როცა ორმოცდათხუთმეტი წლის მოხუცსაც შეუტყვია სამშობლოს უბედურება და ყაზარმისაკენ მოუშურებია, ქართველო ახალგაზრდობავ ნუ შეხედეთ ჩვენ გვერდში მდგომ მოხუც მეომარს, რომელსაც გვერდში ჩვიდმეტი წლის შვილიშვილიც კი ამოდგომია. დაუკვირდით მის გმირულ შუბლს და თქვენ შეგრცხვებათ, ნუთუ ბაბუაშენი ბრძოლის ველზე უნდა მიდიოდეს და თქვენ კი ბაღებში ქალებთან სეირნობდეთ? თანამემამულენო! მიატოვეთ დროს ტარება, მოდით ჩვენთან ყაზარმებში, შინ გაუშვათ თეთრ წვერა მეომრები, მათი ადგილი ცეცხლის პირასაა, ჩვენი კი—ბრძოლის ველზე. რაფრათ შეხვდება ის ახალგაზრდა მომავალს, რომელიც სამშობლოს განსაცდელის ჟამს, როცა მისი ბაბუა კი ბრძოლის ველზედ მოკლეს, ის ქუჩებში სეირნობდა. ასეთი ახალგაზრდა ქართველებში არც უნდა იქნეს ის საქართველოს უკანონო შვილი იქნება.

განსაკუთრებით მე მოვუწოდებ თანამოაზრე ახალგაზრდობას, იმ ახალგაზრდობას, რომელთაც მუდამ გული უცემდათ ტანჯულ სამშობლოს განთავისუფლებისათვის, რომელთაც დღემდე პირზედ ეკერათ: „დიდება სამშობლოს“. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“-ო.

მე მოგიწოდებთ თქვენ, დღემდე ეროვნულ დროშის ქვეშ მდგარნო მამულიშვილნო, ნუ გაექცევით თქვენს წმინდა დროშას, ნუ ჩაუგდებთ მას ხელში თავისუფალ საქართველოს მტერთ, ისმინეთ კვლავ განწირებული ქართველი დედის ძახილი, დაუმტკიცეთ მტერს, რომ თქვენ სამშობლოს სიყვარული და ერთგულება მარტო ენაზედ კი არ გეკერათ, არამედ გულის ფიცარზედაც ცეცხლის ასოებით გაწერიათ.

ქართლოსის შვილნო, ზარი გეძახით და თუ მას ახლა არ მიეშველეთ იგი სამუდამოთ დაყრუვდება.

დიდება სამშობლოს!

„გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“

მიხეილის საციხოსნო არტილერიის მესამე როტის ჯარისკაცი ელ. პატარიძე.

## გურია—ქობულეთ—აჭარაში

ქობულეთიდან დელეგაცია გაემგზავრა აჭარაში. დელეგაციას არწმუნებდნენ, აჭარელთა წინამძღოლი ჯამალ ბეგ ხიმშიაშვილი თუმც პატივით მიიღებს დელეგაციას, მაგრამ ხალხს არ მოიწვევსო. მიუხედავად ამისა დელეგაციამ გადასწყვიტა აუცილებლად წასულიყო და თავისი მოვალეობა მოეხადა სამშობლოს წინაშე. ბათუმში ჩასვლის უმალ ტელეფონოგრამით აუწყეს დელეგაციამ აჭარის წყალზედ მდგარ ქართულ ლაშქრის ნაწილს, რათა ეცნობებინათ ჯამალ ბეგ ხიმშიაშვილისთვის დელეგაციის მისვლა 9 მარტისათვის.

9 მარტს ბათუმიდან გაემგზავრა დელეგაცია და თან გაჰყვა მას ოლქის კომისარი ე. კრინიცკი. გასცეს თუ არა დელეგაცია აჭარის წყალს, სადაც ქართველთა მხედრობა სდგას, რამდენიმე ვერსის მოშორებით შეხვდა სადარაჯო პუნქტი აჭარელებისა. ორი შეიარაღებული აჭარელი გამოუდგა დელეგაციას, შეაჩერა და რამდენიმე სიტყვის გაცვლა გამოცვლის შემდეგ დელეგაციამ განაგრძო გზა. ორი ვერსის მოშორებით ხიდზედ შეგვხვდა ორმოცამდე შეიარაღებული აჭარელი სადაც შეგვეკითხნენ იარაღი ხომ არა გვაქვს. ორი მათგანი ჩაგვიჯდა ავტომობილში და გავემართენით ქედასაკენ. ქედა სავსე დაგვხვდა აჭარლებით, რომელნიც მოსულიყვნენ ქვემო და ზედა აჭარიდან დაახლოვებით ორი ათასი კაცი. თითქმის ნახევარი მათგანი შეიარაღებული იყო. დელეგაცია მიიწვიეს ხევს გაღმა სკოლის შენობაში. აქ იყო თითონ ჯამალ ბეგი და სამღვდელო პირნი. აჭარლები იდგნენ გამწკრივებულნი, მათ შუა გაიარა დელეგაციამ და შევიდა სკოლის აივანზე. ხალხი მოადგა სკოლას და ჩამოვარდა სიჩუმე.

ხალხს მიმართა პირველად გურულების წარმომადგენელმა ი. რამიშვილმა, რომელმაც მოუწოდა აჭარლებს არ დაერღვიათ მათ გურულებთან მეზობლური დამოკიდებულება და გურულებიც სდებენ ფიცს, რომ იგინი ეცდებიან უფრო განმტკიცდეს ურთიერთობა და ამ ორ ძმათა შორის მეზობლობა და ერთობა. საკმარისი იყო ხალხს გაეგო სიტყვა ერთობა, რომ შეძრულიყო იგი და გამოეთქვა თავისი უკმაყოფილება ერთობაზედ. მათ სიტყვა „ერთობა“ გაიგეს როგორც სოციალიზმი ან რევოლუცია. აქა იქ ასტყდა ყვირილი „ძირს“, „არ გვინდა ერთობა“, „ეგ მშვენიერი ერთობა თქვენი იყვეს“ და სხვა... ამ აღშფოთების დროს წარსდგა დელეგატი ი. ამირეჯიბი, რომელმაც შესწირა მაღალ ღმერთს მადლობა დიდი პატივისთვის, რომ იგი არის წარმომადგენელი საქ. ერ. საბჭოსი გურიაში და იქიდან დელეგატად გამოგზავნილი გმირ აჭარლთა თვალწარმტაც სამშობლოში. პირველად მისალმა აჭარელთა უფროსებს და შემდეგ ხალხს. აუწერა დღევანდელი განსაჭირი მთელი ქართველობისა, როგორც ქრისტიანთა ისე მუსულმანთა და მოუწოდა გონიერებისაკენ, რათა ამით გადაარჩინონ საქართველო დარბევისა და აოხრებისაგან. ხალხი ნელ-ნელა დამშვიდდა და გაათავა რა ამირეჯიბმა სიტყვა წარმოსდგა ხალხიდან აჭარელი ეუბ აღა ნაკაიძე მჭევრმეტყველი წმინდათ ქართულისა, რომელმაც მისცა შეკითხვა დელეგაციას—შეუძლიან დაასახელოს დელეგაციამ მაგალითი, რომ აჭარლებს რამე ევნოთ ან საქართველოსათვის, ან ქართველებისათვის. შემდეგ განაგრძო ნაკაიძემ, რომ თერთმეტი თვის განმავლობაში, რაც ეგრედ წოდებული თავისუფლება გამოცხადდა ჩვენ აჭარლებს ის თავისუფლებაც მოგვაკლდა, რაც ნიკოლოზის დროსა გვქონდაო. მაგალითად თქვენ დაგვინიშნეთ ვიღაც კომისრები, რომელნიც ჩვენ ქვავიწროებდნენ და მათრახით გვემუქრებოდნენო. აჭარლები უკანასკნელ ძროხასა ჰყიდდნენ, რომ თოფი ეყიდნათ ორმოცდა ათ ან თუმნათ და სხვებს კი უფასოდ აძლევდითო. ამას ვინა სჩივის, ვაი-ვაგლახით ნაშოვნ თოფს გვართმევდით და ვინც გაიქცეოდა რომ თოფი არ ჩამოერთმიათ კლავდით. ჩვენი მასაზრდოებელი ბათუმია. იქ დავდივართ ნიადაგ და გზაში ქართველი სალდათები გვცარცვავენო. აი გუშინ წინაც ერთ ჩვენებურს აჭარის წყალზედ ნაბადი წაართვესო. მერე თუმცა დაუბრუნეს, მაგრამ ყველა ხომ ვერა ბედავს რომ იჩივლოს კამანდირთანაო. ქართველი სალდათების ერთი ჯგუფი რომ მოგვეყიდდა თოფს, მერე დაგვეჭერდა—წაგვართმევდა თოფს და თუ ჯიბეში რამ გვებადა კიდევ იმასაც აგვაცლიდაო. დღიდან თავისუფლების გამოცხადებისა ქართველობამ უნდობლობა გამოგვიცხადაო, ჯაშუშები შემოგვიჩინა და რადგან ღალატს ეძებდაო. ჩვენ გულში ღალატი არ იყოვო. თუ თოფი გვინდოდა, იმიტომ გვინდოდა, რომ ჩვენა გვყავს მტრები—სომხები. ისინი თურქებს ემტერებიან და ჩვენც თურქებს გვეძახიან. თქვენ, ქართველები ჩვენ თოფებს გვართმევთ და სომხებს აძლევთ, ეს არის ძმობა? თქვენი სიტყვა ძმობაზედ ცარიელი სიტყვაა. საქმით კი მტრებში გვამოდიხართო და ამიტომაც გულახდილად გეუბნებით, რომ ოსმალების თავი გვირჩევნია თქვენ თავსო.

ი. ამირეჯიბმა რამდენიმე სიტყვა უთხრა და შემდეგ შეეკითხნენ აჭარლები თუ რათა სდგანან ქართველები აჭარის წყალზედ. ამის საპასუხოდ რ. ჩიხლაძემ (სეიმის წევრი) უთხრა ჯარი სდგას აჭარის წყალზედ სეიმის ბრძანებით და თუ საჭირო იქნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკისათვის, იგი დააყენებს ჯარებს თვის საზღვრებში, სადაც მოისურვებს. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, უთხრა რ. ჩიხლაძემ, რომ ამიერ-კავკასიის საზღვრებში შედის ბათუმის ოლქი და შესაძლებელია ხვალ ართვინში ჩააყენოს სეიმმა ჯარი და ზეგ ზექარაზედ. რაც შეეხება თქვენ საჩივარს, რომ გაწუხებენ ცარცვით თუ შეურაცხყოფით, მთავრობამ [illegible] ყოველ ზომას მცარცველთა და [illegible] ალაგმავად. აჭარლები კვლავ აღელდნენ ჯარის შესახებ. აქა იქ გაისმა ხმა, რომ ჯარს არ გაუშვებენ და თუ აჭარის წყალს არ დასცლიან, სისხლი დაიღვრება. ხომ მართალია ხალხნო! მიჰმართა ორატორმა აჭარელმა კრებულს. ხალხმა დაიძახა მართალიაო და ხელები ასწიეს.

ბევრი ლაპარაკის შემდეგ აჭარლებმა მოითხოვეს: მოხსნა ჯარებისა ლიმანიდან და აჭარის წყლიდან, დაცლა ბათუმისა, რათა ეს ერთი ქალაქი მათ უნდა ერგოთ და დაცლა ქობულეთისა. საზღვარი არისო მდ. ჩოლოქი და ის ხაზი, რომელიც იყო საზღვრად 1917 წლამდე. რაც შეეხება აჭარის წყალზედ მდგომ ჯარს მისი გაყვანა მოითხოვეს ორი დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ცხოვრება არ იქნებაო და იძულებულნი ვართ მოქმედება დავიწყოთო. ამითი გათავდა მოლაპარაკება და დელეგაცია დაბრუნდა.

დამსწრე

## თელავის ამბების გამო

იმ დროს, როდესაც მთელი ქართველი ერი როგორც ერთი ადამიანი მარტო იმაზედ და უნდა ჰფიქრობდეს და ზრუნავდეს რომ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ქარიშხალს თავი დააღწიოს, რომ ამ ასი წლის განმავლობაში პოლიტიკურად და ეკონომიურად დაქვეითებული საქართველო მსხვერპლი არ გავხადოთ ჩვენი ლაჩრობის და სიბრმავის წყალობით, ამ საბედისწერო დროს ჩვენს სატირელს ტრადიციულს ქიშპობას, სისინს და პარტიულს-კლასობრივს ბრძოლა დანაწილებაში ამოგვდის სული. როცა კი წარმოვიდგენ თვალწინ კახეთს, თელავის მაზრას და თვითონ თელავს, გადავავლებ თვალს მათ პარტიულ პოლიტიკურს სიმწიფეს და თვით შეგნებას, აშკარა ხდება, რომ აქ 1 პროც. ძლივს მოიძებნება, რომ იგი მისდევდეს თავდადებული ამა თუ იმ პარტიას, შეგნებულად შესისხლხორცებული ჰქონდეს ესა თუ ის პროგრამა პარტიისა. მაგრამ პატარა ქალაქები არაფერი. თქვენ სოფლის ხალხი აიღეთ. რა უნდა მოსთხოვოთ იმ ხალხს, რა პარტიულ შეგნებაზედ უნდა ებაასოთ როცა აგერ უკვე წელიწადია რაც თავისუფალი მოქალაქენი ვართ—მთელი წელიწადია რაც ვითომდა ხალხი თვით შეგნებას დასწაფებია, მაგრამ ჯერ სიტყვები „მენშევიკ-ბოლშევიკები“ ყურმოკრულ ამბათ აქვთ გაგონილი და ყველას როგორც თავისებურად ესმის თავის სასარგებლოთაც ხმარობს—ამათ მომწიფებაზედ ხომ ისიც საკმარია ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით სოციალისტი ისევ „ცოციათა“ ჰყავთ მიღებული. აი ამისთანა პირობებში, ამისთანა დროს, ყველა სოფლის პიროვნება ერთ ერთ პარტიის წევრს უწოდებს თავის თავს და თუ სოფელში პარტიის კაცი არა ხარ, საეჭვოთ გიყურებენ. თუ დღეს სოფელში რამდენიმე ქურდების და ყაჩაღების პირი შეჯგუფდა და თავისი თავი რომელიმე პარტიის ქვეშ გამოაცხადა, ან უნდა მათ მხარი დაუჭირო ან იქიდგან გადაიხვეწო რადგან, სიკვდილი არ აგცდება. გაიხსენეთ ქართლის ამბები. აშკარაა იქ ცარცვა-გლეჯის მიზნით შეერთებულმა ნაძირალებმა ბოლშევიკურის პარტიის სახელით იწყეს საზიზღარი საქმეები და ბევრი ისეთი ძვირფასი ადამიანი გამოასალმეს, რომელიც დღეს საქართველოს წამლად დაედებოდა და თუ დღეს სახელოვან ალ. ჰაჭაპაძეებით არა—მაინც და მაინც იმ ნაძირალებზედ მეტად დაეხმარებოდნენ განსაცდელში მყოფს ჩვენს სამშობლოს.

თელავის ამბები დღეს ანალოგიურს მოვლენას წარმოადგენს. განა ჭკუათამყოფელს კაცს შეუძლიან წარმოიდგინოს, რომ მერვე პოლკის ჯარისკაცები წმინდა პარტიულს ნიადაგზე და თვითშეგნებით სცარცვავდნენ, ითვრებოდნენ და ათას სისაძაგლეს სჩადიოდნენ. განა საფიქრებელია ის, რომ რომელიმე სახალხო პარტიას შეეძლო ამ სისაძაგლობისთვის გულგრილად ეცქირნა და თანაგრძნობაც კი ეცხადებინა?! ეს არა ბუნებრივ ადამიანს შეუძლიან აზრათ მოუვიდეს. მე მჯერა რომ შეიძლება ამ საზიზღარ საქციელებს ხელმძღვანელობდა, რომელიმე ჯგუფი. ისიც დასაჯერებელია, რომ ამ ჯგუფს დიდი შრომა არ დასჭირდებოდა თავისი მხეცური ქინის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ აქ პარტიული გამოსვლა არაფერ შუაშია. უმეტესმა ნაწილმა ჯარისკაცებისამ ვიცი რომ არჩევნების დროს ხმა ნომერ 1-ს და 5-ს მისცეს, მაგრამ რამდენიც გინდათ მარწმუნოთ მე ვერ დავიჯერებ, რომ ისინი წმინდა პარტიული გრძნობით აძ.

---

*) ამ მოწოდების დაბეჭდვა განზრახული იყო გაზეთის 13 მარტის ნომერში, მაგრამ შემთხვევით მიზეზების გამო დაგვიანდა.

ლეველინ ხმას. უმეტესი ნაწილი ამ ჯარისკაცებისა ჯიბგირ-მარადიორებისაგან შესდგებოდა და მათ პარტიისაც არაფერი სწამდათ. თელავის ხალხი გულჩაკლული შესცქეროდა ამ ვაჟბატონების საგმირო საქმეებს, მაგრამ შიშით ახლოს ვერავინ მიჰკარებოდა— ყველას თავისი ტყავი ებრალებოდა—ვისაც სამშობლო უყვარდა, ქართული ლაშქრის სახელი წმიდათ მიაჩნდა და თელავის მცხოვრებლების ატანჯული ტანჯვა აწუხებდა ის იყო მოვალე ჩასულიყო ამ სამხედროში და დაეცვა სამშობლო ლაშქრის სიწმინდე და თელავის ხალხი. ჯარისკაცების მოქცევისთვის ორი გზა იყო, ერთი ადგილობრივი ან საერთო მთავრობის ძალა— მეორე ზნეობრივ-გუმანიური გავლენა მათზედ. გასაოცარი შეკითხვაა „ერთობის“ № 57-ში, თუ ეროვნულ-დემოკრატები არ თანუგრძნობდნენ მეორე პოლკის ხულიგანთა ბრბოს იქ რას მიძვრებოდნენ, რას ეწეოდნენ. მე არ ვიცი რამდენათ ამ სისაძაგლეში დანაშაული მიუძღვის მათ. დეე იმ კომისიამ აღმოაჩინოს სიმართლე, მაგრამ თუ ეს ასეა. ციცქიშვილი, შოშიაშვილი და მაისურაძე იმ აზრზე დარჩნენ ბოლომდის რა აზრითაც ისინი პოლკში ჩაეწერნენ და რა აზრითაც მეც მიწვევდნენ—ესე მათ ვაჟკაცობას და გულახდილად ვიტყვი, რომ არცერთს მყვირალა და ტრაბახას, რომლებიც სამშობლოს სიყვარულს და ძმობა ერთობას ქადაგებენ, საქმით კი შურის და მტრობის მეტს არას ბადებენ. მათ ნება არც კი აქვთ პირ გამოურეცხავად ახსენონ ეს პირები არამც თუ მათ სასიკვდილოდ სდიონ. იმის მაგივრათ რომ ყველას, ვისაც კი ქართული ჯარი ან მშვიდობიანი მცხოვრები გვწამდა, ყველანი ყაზარმებში ჩავსულიყავით, თითო-თითო წინ გადავღობებოდით იმ ნაძირალებს და ამოსუნთქვის ნებაც არ მიგვეცა: ათასნაირი ზომებით, პროპაგანდით, მოფერებით, დარიგებით და ბოლოს თუ საქმეც მოითხოვდა ცხვარში ამოკვრითაც ჩაგვექრო ის სიმყაყე და მათი გული (ზოგი მთლად უმანკო) საკეთილდღეოდ მოგვეხმარნა, ჩვენ შორიდგან უყურებდით ერის და ბევრს მგონი კიდეც ახარებდა ასეთი უმზგავსო მათი საქციელი. და თუ რამდენიმე თავდადებული მაინც გამოვიდა, დაარღვია თავისი მყუდრო ცხოვრება და თავი დასდო ამნაირი საკეთილო მიზნის მისაღწევად—დღეს მათ ვსდევნით. ესეც ერთნაირი არა ბუნებრივი მოვლენაა რევოლიუციის დროს.

ერთმანეთის ჭამის მაგიერ ეხლა მაინც გონს მოვიდეთ. საერთო მტერი კარზედ გვადგა. თელავიდან დევნილი ჯარის ფეიცი ბოლო დღეს სოფლებში დაიფანტა. თუ თელავში და მის კაზარმებში ვერ შევძელით მათი მოქცევა და შეცდომა დაუშვით, ამ შეცდომას სოფელში ნუ გავიმეორებთ, თორემ ბევრი სოლო ყაზახაშვილები მოკვდებიან. ციცქიშვილებს, შოშიაშვილებს და მაისურაძეებს მოსაკლავად კი ნუ დავსდევთ—მოკვლა ადვილია—თქვენ გაცოცხლებაზედ იზრუნეთ, მინახეთ მაგვარი ენერგიით სავსე ახალგაზრდები და სოფლებში გაფანტეთ. შეიტანეთ საწყალს ბნელს სოფელში ერთი ციტის ოდენა მაინც შეგნება, თუნდა ტანჯული რევოლიუციის სახსოვრად და გარწმუნებთ უფრო ღირსნი ვიქნებით ადამიანებში გარევისა, ვიდრე სისხლით ვიდებოთ ხელები. ეხლა წვეთი სისხლი მილიონები ღირს სამშობლოს და ჩქარა, თუ ეხე მიუშვით ჩვენი თავი, ჩაფლობით დაილევნება, რაც დაფასებაც შეუძლებელი იქნება. კმარა სიმწვე და ძმების სისხლის ღვრა. ისეც პატარაა ტანჯული საქართველო.

წყაროსთაველი.

## კორესპონდენცია

### ბათუმიდან

დიდი სიცოცხლე ეტყობა ამ ჟამად ბათუმს, ქართველმა ერმა იგრძნო რა დიდი საშიშროება, საუკეთესო შვილები დაუყენა. ბათუმს გუშაგად.

სანტერესო სანახავია ბუნებრივად ლამაზი ბათუმი მას აკლდა სიცოცხლე, ახლა ესეც მიეცა: ბათუმში თითქმის ყოველ დღე მოდის ორ-ორი ეშელონი ქართველი ჯარისა. ჯარების გამოგზავნაში პირველი ადგილი გურიას უჭირავს, მეორე კი იმერეთს.

14 მარტს, მოვიდა ორი ეშელონი ქიათურის რაიონიდან 1000 კაცამდე, ამბობენ, კიდევ დიდძალი ჯარი მოდის იქიდანვე, ქალაქში დიდი მოძრაობაა სალამოობით ქუჩებში გაისმის ქართული ეროვნული სიმღერები, რაც ხალხში დიდ აღფრთოვანებას იწვევს. 14-ში, სადამოთი, ხმა გავრცელდა, ვითომ ჩაქვის თავში გადმოსულიყო რამდენიმე ათასი ჩეტნიკი და აჭარის ჩაქვის თავი სადგურ ჩაქვას დაშორებული საზღვარითით 6—7 ვერსით. მოსალოდნელი იყო მათი წინ წამოწევა და გზის გადაჭრა. სასწრაფოდ იქმნა მიღებული ზომები, გაგზავნეს ბათომიდან ჯარი მათ შესაჩერებლად, მისულმა ჯარმა დელეგაცია გაუგზავნა მაჰმადიანთა ჯარს და შეეკითხა, თუ რა ჰნებავთ მათ. უპასუხეს: „ჩვენ გავიგეთ, ვითომც ჩაქვში მოსულიყოს სომხების ჯარი ჩვენ საწინააღმდეგოდ და იმიტომ გადმოვიარეთ, რადგანაც ეს ადგილი ქართველებს გიკავიათ, ჩვენ თქვენთან სამტრო არა გვაქვს-რაო.

ამ მოლაპარაკების შემდეგაც ჩეტნიკები უკან არ იხევენ, ჯერ არ იციან, საქმე რით დამთავრდება.

ჯ.-კაცი ფ. პ—ძე.

## წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ გაზეთ საქართველოს მე-47 ნომერში 1918 წ. მოთავსებულია წერილი ს. რუისიდან ამ სათაურით: „რუისის სამეურნეო სასწავლებელი“. ამ წერილში აწერილი ამბავი სინამდვილეს არ შეესაბამება, როგორც ფაქტიურად, ისე ამა თუ იმ მოვლენის განმარტება-ახსნით; ამიტომ მე, როგორც გამგე ხსენებულ სკოლისა, მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს სკოლის პრესტიჟის დასაცავად და არა პირადი ანგარიშების გასასწორებლად, როგორც ეს ეუნებენია ქ. ელ. დეკანოზიშვილს თავის წერილში, საცა უმთავრესად ჩემი პიროვნების შეურაცხყოფა დაუსახავს მიზნად, აღვადგინო სიმართლე და ისე გავაცნო მკითხველ საზოგადოებას სკოლის ვითარება როგორც ეს სინამდვილეშია.

ხსენებული სასწავლებელი ეკუთნის რუისის ქართველ ქალთა წრეს, ინახება ამ წრის თაოსნობით. სკოლის გახსნის პირველ ხანებში მე რუისში არ ვყოფილვარ; სკოლას განაგებდა წერილის ავტორი ელ. დეკანოზიშვილი; მასწავლებელი ქ. ანტონოვი, რომელსაც სწავლას უწუნებს, მოწვეული იყო მის დროს, მხოლოდ მის შემდეგ, რაც საქმე შევწყე, გამგეობა საზოგადოებამ მოთავა და მეც დავეთანხმე. ამ სასწავლებელში ისწავლება მხოლოდ ხელოსნობა, და მოსწავლეები უმთავრესად ადგილობრივ სასწავლებელ დასრულებულნი არიან. ჩემი პირადი მოვალეობა სკოლის მეთვალყურეობა, ნივთიერ მდგომარეობაზე ზრუნვაა; სწავლება რომელიმე საგნის ჩემი საქმე არ არის. ხელსაქმის მასწავლებელი კი განაგრძობს იმავე წესით, როგორც ელ. დეკანოზიშვილის დროს; ეს მასწავლებელი ტომით რუსია, მახლობელ სოფელ ქარელში მცხოვრები, სადაც ვე შეუსწავლია ეს ხელობა და გადასცემს ბავშვებს ისე, როგორც შეუძლიან; რაც შეუძლიან ქართულად და რაც არა და რუსულად, განსაკუთრებით ვერ ახერხებს დაზგის შემადგენელ ნაწილების სახელების ქართულად გადაცემას. თვით მასწავლებელი ქალიც კარგად ჰგრძნობს და ჰპირდება მასწავლებლებს ზაფხულში შეისწავლოს დაზგის შემადგენლობა ქართულად და შემდეგში სრულყოფილი ქართულად შეასწავლოს; იქნებ იკითხოს ვინმემ, რატომ ისეთს არ მოვიწვევთ რომელსაც შეეძლება ქართულად სწავლება. ამაზედ ვუპასუხებ: 1) ჯერ ერთი რომ საფეიქრო საქმის მცოდნე პირები ძნელი საშოვნია თუ სრულად შეუძლებელი არა და, მეორეც ის, რომ კიდეც მოიპოვებოდეს ორიოდე მანეთათ, რასაც მასწავლებელი ქ. ანტონოვი იღებს, არავინ დასთანხმდება. თუ რამდენად ჩვენი სურვილი იყო ეს არანორმალობა აგვეცილებინა იქიდანაც სჩანს რომ კრებაზედ მიეცა წინადადება ქ. ელ. დეკანოზიშვილს როგორმე დახმარებოდა მასწავლებელს დაზგის ნაწილების სახელების თარგმანში, მაგრამ, სჩანს, მან დახმარების, წერილებით გაკრიტიკება არჩია. ელ. დეკანოზიშვილსვე მიეცა წინადადება და აგრეთვე სხვა პირებს ოფისელებს, ვისაც კი რით შეეძლო, სკოლის მოწყობისთვის დახმარებოდნენ სახელდობრ ბაასით, წიგნების წაკითხვით და საერთოდ ხელი შეეწყოთ მათ გონებრივ განვითარებისათვის, და ჯერ მარტო იქაურ მასწავლებლების გარდა არავის დაუწყვია მათი განვითარება, და მეც, როცა კი დრო მაქვს ვუკითხავ ქართულ წიგნებს. ამას გარდა მოწაფეებმა თხოვეს პრაქტიკისათვის რუსულად მეზაასნა, მე ეს მათი მოთხოვნილება არ ვცანი ანტიპედაგოგიურად არამედ მივიჩნიე ენების შეძენის სურვილად და რამდენადაც შემიძლიან ვაკმაყოფილებ და მოხარულიც ვარ, რომ თუ მოწაფენი შეიძენენ და ჩვენ ენებსაც შეისწავლიან იქნება და საწ. ნაყოფიერი ამას არაფის კრიტიკოსს არა ეწყინება.

ამიტომ მოვალეთ ხსენებულ სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმის ვითარება და ყველა ზემო ნათქვამის შემდეგ მკითხველი საზოგადოებისათვის მიმინდვია, რამდენადაა სამართლიანი ელ. დეკანოზიშვილის კრიტიკა და საქციელი; რუისის საზოგადოების ქალთა კრებამ კი შესაფერი მსჯავრი დასდო და ამით გაჯავრებული გაზეთის ფურცლებზედ იწყებს ნავარდს და ძახილს, რომ კრებაზე უცხო პირები იყვნენო, რომელსაც მხოლოდ ნამდვილი წევრები დაესწრნენ. ფაქტების დამახინჯებაც ასეთი უნდა. ამასთანავე ვსარგებლობ შემთხვევით და მოვუწოდებ შეგნებულ ნაწილს საზოგადოებისას დახმარება აღმოუჩინოს ხსენებულ სკოლას, რომელიც ქრისტიანული კულტურული ძალების საქმეში ჩარევით და მაშინ მერწმუნეთ უფრო სასურველ ნიადაგზედ დადგება ეს ნორჩი საქმე, ვიდრე გაზეთის ფურცლებზედ საქმის ვითარების გადამახინჯებით.

ექ. ლეკავ ნახა.

## კალენდარი

### სამშაბათი, მარტის 20

მე-16 დღე დიდი მარხვისა.

**ქართვ.** წმ. არჩილისა და ლუარსაბისა.

**მაჰმად.** სე-შამბე 19 რ. ჯემადილახირ 1336 წ. ჰიჯრისა.

**ებრაელ.** იომშენი 19 რ. ნისანი 5678 წ. ქვეყ. შექმ.

## თეთრი ზამბახი

(შემდეგი *)

### XXV

ძველს მეგობრებს დიდად გაუხარდათ ერთმანეთის ნახვა. გაიხსენეს ძველი წარსული, პეტერბურგი, იმ დროინდელი სიცელქე. ყოველ დღე ახალ-ახალი საგანი უჩნდებოდათ სალაპარაკო. გეგემ დაწვრილებით უამბო პარიზის უკანასკნელი ამბები. განსაკუთრებით შეჩერდნენ სალონების გამოფენაზე და ბოლოს სამინისტროს კრიზისზე. ლელომ ყურები სცქვიტა. და, მართლაც, სადაა, რომელ ქვეყანაში, იმდენი ცეცხლი, ტემპერამენტის კონტრასტები და სიცოცხლის ჩქეფა, როგორც საფრანგეთში სამინისტროს კრიზისების დროს? აქ ნამდვილი ომი ჩაღდება, პარლამენტარული ომი, რომელსაც ჰყავს თავისი საყვარელი სარდლები, ვინც მთელს საფრანგეთს რწმენის მიხედვით ორს საგანგებო ბანაკად ჰყოფს. ლელოს დიდად ეწყინა კლემანსოს დამარცხების ამბავი.

— მართალია, გაზეთებიდანაც ვიცი, მაგრამ დღემდის ვერ გამიგია, როგორ მოხდა, რომ მინისტრების მხვერპლი, რომელიც სამართლიანად პრემიერად მიაჩნია თვით უდიდესმა მისმა მოწინააღმდეგემ ჟორესმა, დელკასეს მიერ სულ უბრალოდ დამარცხდა. თვალებს არ ვუჯერებდი, როცა ტელეგრაფის ცნობა წავიკითხე. სწორედ გითხრა, ძალიან მეწყინა, მეწყინა ისე, როგორც საზოგადოდ სწყინთ კარგი ფიესის მოულოდნელი წყვეტა.

— მაგრამ გავიწყდება, მეგობარო, რომ კლემანსო დელკასემ კი არა, არამედ თვითონ კლემანსომ დაამხო.

— Allons donc!

— Mais oui! კლემანსოს კაბინეტი თვითონ კლემანსომვე დაამარცხა. ყოველ შემთხვევაში საფრანგეთის პრესის აზრი სწორედ ასეთია...

მერის არ უყვარდა პოლიტიკაში ჩარევა, ეს მამაკაცების საქმეაო, ამიტომაც მეგობარ ქალთან უფრო მისაფერი საქმე იშოვნა. პარიზიდან ჩამოტანილ „მოდის“ ჟურნალებს ჩხრეკავა დაუწყო.

— აბა, შენი გემოვნებაც ვნახო, როგორ მოგწონს კრეპ დე შინის თუნდა აი ეს ფასონი? საშინაო ტუალეტისთვისაა.

მალიმ ტუჩი აბზუკა, მაგრამ რადგანაც არჩევანი ვერც თვითონ მისცა, ისევ პირველს დაუბრუნდა.

— ტყუილად დავიწყებ, სწორედ საშინოა. აი, ამ ტუალეტს წინ სარდაფის დიდი ღილით შეიკრავ. ტილოს სახელოები და გულის არშიები საკმაოდ დაჰფარავენ შენს სანტიმენტურსო მდგომარეობას...

უკანასკნელ სიტყვაზე ჩაეცინა. მერი აწითლდა, სწრაფად ჟურნალი გადაშალა და ალაგზედ თითი დაადო ერთს:

— ვფიქრობ, ეს მატინე მარკიზეტი უმჯობესი იქნება. მოგწონს?

— ჰო, რატომ, თუ კი ჟგერეთი დაარშიებული ყვავილოვანი კრეპი ნახე, ვფიქრობ, რომ კარგად დაგადგება.

„მატინე მარკიზეტზე“ შეჩერდნენ. შემდეგ გაისმა მეორე ოთახში: რაო, მორჩით?

— მობრძანდით და გეგეც.

— ოჰ, თქვენ ისევ პოლიტიკაზე გეექნებათ საუბარი...

— არა, არა, ნუ გეშინიანთ,—შემდეგ სიცილით დაუმატეს: თუ არ დაგიშლით, ეხლა თქვენს კაბებზე ვილაპარაკოთ.

— მერიმ კიდეც ამოირჩია მშვენიერი ფასონი „მარკიზეტისა“.

— აკი ვთქვი... ყველას თავისებური [illegible]...

შემდეგ ახლად დამთავრებულ სურათის შესაფასებლად შევიდნენ ფართო დარბაზში. გეგემ უკვე იცოდა წერილობითაც ლელოს მრავალ-ფეროვანი ნიჭი, გაეცნო მის „თეთრ ზამბახსაც“, რომელიც ორჯელ თუ სამჯერ თვითონაც დაუკრა და აი, ეხლა მოიწადინა მეგობრის ნიჭისთვის კრიტიკულად შეეხედნა ხატვერობის სფეროში.

— აი, ამ სურათზე ჯვარს აცვამენ ჩემი ქალბატონები,—უთხრა „სიცოცხლის აზრზე“,—ხან რას მიწუნებენ, ხან რას.

— მაშ რა უნდა სთქვას ადამიანმა,—შენიშნა გულგრილად მერიმ: ამ სურათში არავითარი სიმეტრია არაა დაცული, არავითარი პროპორცია.

— და განა ეგ საჭიროა?

— როგორ თუ არა?

— გაგვესამართლოს ახლა გეგემ.

გეგემ ცნობის-მოყვარეობას გადაეცა:

— ლელო მართალია. როგორც ვხედავ, მთელი ფოკუსი ამ მხატვრობისა წითელ-ყვავილის მოწყვეტაშია, ცეცხლის ფერად რომ ელავს უფსკრულის პირად და თვის ჯადოსნურ მოელვარე სხივებს სტყორცნის. ქალის გაწვდილი ხელები, გამოფენილი კისერი, ერთი სიტყვით, ყოველი ნაკვთი ამ არსებისა ყვავილისკენაა მიზიდული, ქვემოდან კი უფსკრული ემუქრება. მაგრამ ყვავილის მოწყვეტის სურვილი და ამ სურვილზე აფუძნებული ნებისყოფა გაცილებით ძლიერია უფსკრულის საშიშროებაზე, ამიტომაც მთელი კომპოზიციის ფერადი მუსიკა დაძაბულ ცეკვაა, წინდაწინვე რწმუნდებით, რომ ეს ქალი ყვავილს მოსწყვეტს, უსათუოდ მოსწყვეტს...

— განა? ეგ ქალი ყვავილს უსათუოდ მოსწყვეტს!?—გაიმეორა ხაზგასმით ერთგვარი ჰიპნოზით შეპყრობილმა მალიმ, რომელსაც კარგა ხანია ასეთი ბედნიერების ღიმილი არ გადაჰკვროდა, როგორც ამ წუთში.

ოღონდ ეჭვიც არაა, რომ ეს ასე იქნება და ეგ ქალი უსათუოდ მოსწყვეტს მაგ ყვავილს!

მალიმ ღრმად ამოისუნთქა, თითქოს გულიდან ლოდი მოეშვა.

— მაგრამ პროპორციაზე რაღას ბრძანებთ, ბატონო გეგე? აბა ამ ხელებს უყურეთ, ჰეროინისა როგორ ჩამოკვალა ლელომ და საჭიროებაზე მეტად გაადიდა. ასე მგონია, მიკროსკოპით ვუყურებ მაგ ხაწილებ-მთლიანობას. ასეთი ხელები ერთგვარი ლიონარდოსი შეაქვს, უსათუოდ ბუნებრივისამდის უნდა ჩამოიყვანოს, თორემ პროპორცია დარღვეულია.

— სცდებით, ქალბატონო, პროპორციაზე ვერაფერს იტყვით. აქ ფილოსოფიური განმარტებაა საჭირო.

— ოღონდაც, ჩამოერთო ლელო: უბრალოდ მე იმის თქმა მინდა, რომ ბედნიერების მოსაწყვეტად საჭიროა მეტად და მეტად დიდი, ძლიერი ხელები, რომლებშიაც თითის წვერებამდე დაიგუბება მთელს ჩვენს ენერგიას, გონებას, სულისა და გულის დინამიკას, რომ უფსკრულებს გადავაფრინდეთ და სურვილის ყვავილებით დავიფუფლოთ.

— Bravo! უკეთეს განმარტებას ვეღარ მოვითხოვთ, ქალბატონო!—შესძახა გეგემ და თანაც დაუმატა: წუხელის ლელოს მუსიკალურ ელეგიურ სურვილს რომ ვუკრავდით, თქვენ მითხარით, ეს „თეთრი ზამბახია“, წინადადება შემომაქვს ამ სურათს „წითელი ზამბახი“ დაერქვას.

მერიმ მოიწონა, მაგრამ ლელო წინააღუდგა. მალი კი თავისთვის ღრმა ფიქრებს მისცემოდა და, თითქოს ამათთან ლაპარაკის მონაწილეობას არ იღებსო, ეკვიატეზულ აზრს არიადნას ძაფად იხვევდა: „ბედნიერების მოსაწყვეტად საჭიროა მეტად და მეტად დიდი, მძლავრი ხელები...“

შემდეგ ჩვეულებრივ ყავის დასალევად შემოუსხდნენ ეზოში მაგიდას. აქ მერიმ ეშმაკურად მოახერხა და უეცრივ ლაპარაკი საყვარელ მეგობრის იდეზე გადაიტანა:

— ყველა-ყველა, მაგრამ როდის იქნება...

— რა?

— ჯვარისწერა, ქალბატონო...

მალი გაფითრდა, მაგრამ ნაძალადევის ღიმილით გეგესკენ მიიხედა:

— ჰკითხეთ გეგეს.

გეგემ თავის მხრივ მალიზე მიუთითა:

— არა, თვითონვე ჰკითხეთ. თორემ ჩემთვის სულერთია.

— იქნებ ნათლისღებას...

— ოჰ, ეგ კი არ მოხერხდება,—უპასუხა მალიმ: ისევ აპრილში, ან მაისში.

— უჰ, ქორწილს გვაშორებს, ქალო, არც ასე იქნება. ასე არ არის, ბატონო გეგე?

— აბა რა ვიცი, რახანაც მალის აგრე ჰსურს, საწინააღმდეგო არა მაქვს რა...

ამ მძიმე საგანზე მალი როცა შინ გაეცილა, გეგემ საგანგებოდ ჩამოუგდო საუბარი, რომ უფრო მეტი თავისუფლება მიეცა, მაგრამ მალის გარდაწყვეტით არა უთქვამრა, როგორც შემდეგ ორი კვირის განმავლობაში. გეგე მასში დღითი დღე საოცარს ცვლილებას ამჩნევდა. ჰხედავდა, როგორ სწვდით იზიდება, ფარულ კაეშნით, თითქოს ეკრძალებოდა კიდეც, ისიც დაინახა, რომ მეგობრებთან მოუკლო სტუმრობას, გაურბოდა ერთად შეყრას, განსაკუთრებით ლელოსთან შეყრას.

— რა მიზეზია? ჰფიქრობდა ის და უეცრივ ეჭვებმა დაუწყეს ღრღნა: არა, არა, შეუძლებელია, ეს როგორ მოხდებოდა? მალი წმიდა ადამიანია, არავითარი წარსული არ უნდა ჰქონდეს ისიც ჩემს სიყრმის მეგობართან რომანის სახით...

ამ ეჭვებს ის უფრო ჰსხოვნიდა, რომ მალის ოთახში პიანინოს თავზე „თეთრი ზამბახის“ ნოტებს ფანქრით წარწერილი შეამჩნია: „მალის“, გაახსენდა ისიც, რომ სურათების მიდევრად მალი ჰყოლია მის მეგობარს, წერილების კილო, შემდეგ ერთგვარი მიგიწყდება. ამ ფიქრებმა მეტად დაჰზიდეს გეგე, დღე დღეს მიჰყვებოდა და ვერ მოახერხა იმდენად, რომ სწორი დიაგნოზი დაესვა. ექსპერიმენტის მოსახდენად ერთხელ „თეთრი ზამბახი“ დაუკრა, მაგრამ ისე უგულოდ, ისე ცივად და შეცდომებით, რომ მალიმ სთხოვა, შეეჩერებინა.

— რათ არ მოგწონთ ჩემი დაკვრა?

— თქვენ თვითონ ბრძანეთ...

გეგემ ჩიბუხს მოუკიდა. არაჩვეულებრივ წყნარი, მაგრამ მელანქოლიური პირბადე გადაეფარა მის სახეს.

— მალი...

— რა იყო?

— მეც არ ვიცი რა ჰბედავ ჩემს თავს. მე მსურდა, რომ... რომ ფარდა ავეხადნათ საიდუმლოსთვის. ვხედავ, რადაც გაწუხებთ. მიპატიეთ, მაგრამ ბოლოს დროს გამჩნევთ, რომ მიმიფრთხით, ვერ ვერ ხდებით. ისე სჩანს, თითქოს უცხონი ვიყოთ, რომელთა შორისაც ოფიციალი საზღვარი უნდა იდოს ერთმანეთთან გასამიჯნავად. იყავით გულწრფელი. არ გაგონით, თქვენს წინაშე სდგას ადამიანი, რომელსაც შეუძლება უნდოდეს, არა, თანამედროვე ადამიანი ვარ და ძალიან შემიწყვეს საკუთარს გრძნობებსაც ადვილმეტო. რაშია საქმე?

მალიმ ტირილი დაიწყო.

— არა, მალი, მაგრამ არა, მაგრამ არა... თუ იტირებთ, ენდავე წავალ. თუ გნებავთ, ისე გადვიკარგები, რომ ჩემი ასავალ-დასავალი ვეღარ იპოვნოთ. გსურთ?

— ნუ მტანჯავთ, გეგე, ნუ...

— მაშ რა?..

— არაფერი...

ცრემლები მოიწმინდა, შემდეგ თავი ჩაჰღუნა.

— თუ ადამიანის მეხოვთ გეტყვით. შემდეგ მოიქეცით, როგორც გსურთ: გნებავთ, ამადამვე წამიყვანეთ, ჯვარი დამიწერეთ. შემიძლიან სამოქალაქო ქორწილზედაც დაგეთანხმოთ, თუნდა სულაც ოფიციალო ხელშეკრულობით გამოგყვეთ, მაგრამ, გეგე, იცოდეთ, რომ ეს ის არ იქნება, რასაც ცოლქმრულ ბედნიერებას უწოდებენ. ნუ აღელდებით! არ გეგონოთ, მძულდეთ. პირიქით, დიდად პატივსა გცემთ; უსაზღვროდ გენდობით, ვაფასებდი თქვენს პატიოსნებას, ვარწმუნებდი ჩემს თავს, რომ მიყვარხართ, წელიწადი თითქმის თავს, გავეწამე, გული და გრძნობა ერთმანეთის ცვალებით დავიღალე, ვასაზრდოობდი ოცნებით, ველოდი თქვენს ჩამოსვლას, რომ ჩემს მისწრაფებათა კალთაში ჩამოწოლილ მენახა, მაგრამ... ჩამოხვედით და წუთიერი ილუზია მოსწყდა. გახსოვთ, სადგურზე მოგეგებით. გულწრფელი იყო ჩემი კოცნა, გულწრფელი იყო აღტაცებაც. აჰ, რატომ არ გავეძერი მე იმ წუთში! მაგრამ ტუჩიდან შეხებამ, კოცნის სურნელად დაფქვილ გულმა ჩემმა გრძნობებმა მაშინ ამოსწურეს სიყვარულის მთელი საიდუმლო. გამიგონეთ, გეგე, თქვენ არ მიყვარხართ! მსურდა, თავი დამეჯახებინა, ვიბრძოლე, მაგრამ ვერაფერს ვხედავ. სადგურიდან, სწორედ იმ დღესვე, იმ საღამოს, ლელოსთან რომ ვიყავით, მსურდა ამეხსნა, მეთქვა ეს ჩემი საშინელი მხილება, მაგრამ ვიფიქრე, იქნებ ვცდები მეთქი და ყოველ დღე სიყვარულის ექსპერიმენტებს ზედი-ზედ ვახდენდი. ჩემდა სამწუხაროდ, სულ წინააღმდეგში ვრწმუნდებოდი, დღითიდღე ის უკანასკნელი გრძნობებიც კი მიქრებოდა, რასაც შენდამი ვგრძნობდი.

გეგე გაშრალი ისმენდა.

— ქალის გული ზღვაა, მიუნდობარი.

— ეგ ძველის-ძველი აფორიზმი საუბედუროდ ჩემს თავზე ახდა.

— ალბათ იმიტომ თუ, რომ ჩემზე იქით სხვა სათაყვანო გიშოვნიათ.

— გეგე... ბატონო!—მალი წამოიჭრა, გასწორდა წელში, მაგრამ წუთს უკან რისხვა გაუქრა, ისევ სავარძელში ჩაეშვა; თუ გსურთ ის პატივისცემაც არ დამეკარგოს, რასაც თქვენდამი ვინახავ ამ გულში, ზედმეტს შეკითხვებს ნულარ მომცემთ. ვგონებ თქვენ კმაყოფილი უნდა იყოთ იმის გაზხელით, რომ... არ მიყვარხართ! მეგობრად კი გიწოდებთ ყველათვის.

— ჰო, რა თქმა უნდა, ჩვენ საუკეთესო მეგობრებად დავრჩებით.

ქუდს ხელში ატრიალებდა. წამოდგა, უსიტყვოდ ხელი ჩამოართვა. მალის უნდოდა ხმა გაეცა, მაგრამ ვერ მოახერხა. ვიდრე გეგე გავიდოდა, ასე იდგა გაფითრებული, თითქოს ქვეყნის წყევლა-კრულვა მოედოთ მის თავს. შემდეგ სავარძელში ჩაეშვა. თვითონვე უკვირდა, რომ ცრემლი აღარ მოსდიოდა. ამ დროს კაკუნი შემოესმა.

— ვინ არის?

გამოჩნდა. უცნობმა წერილი გადმოსცა და უმალ გაჰქრა. საჩქაროდ გახსნა.

„მალი! არ გეგონოთ, რომ თავს მოვიკლავ, არა! საკმაოდ ძლიერი ვარ შემწევს იქნობამდის მაინც მოვიცადო, ვიდრე თქვენს საიდუმლოს არ ახდენენ ფარდა. შეიძლო დავრჩენილიყავი, გამეწამებინეთ, მაგრამ თქვენი ხასიათის ადამიანები ყოველთვის თავისას გაიტანენ. ამიტომაც დაგიბრუნებთ თავისუფლება. გაიყვანეთ და აღსარების დროს ხმამ აშკარად დაიჩინე, რომ სული თქვენი დაჭრილია. სულის ჭრილობა კი ხორცისაზე გაცილებით მწვავე და მტანჯველია, თავისი საშინელი მეღლევარე ტალღებით მიმოქცევით. ნიავან და ნიავიდან საშინაოდ გამოსიმღერას, მიმქრალ ვარსკვლავების სამიჯნუროდ, ამიტომაც ღმერთს გავახსენებთ. თქვენ ჯერ კიდევ ის თეთრი ქალი ხართ, რომლის ველური სიმინდი სურნელი მითამოვს ჩვენი ქოხის ქოდლებს და მის ალერსს, რომ მოლოდ გაჰშლოს თავის კოკრები. ვგრძნობ, ასეთ ქარად ვერ მოვგულიბ თქვენს სინორჩის საშიშოობას მხარეს, მის ძალოვან ლიკყვას ბუნებას. მაინც გადაჭყობოდეს განმარტებას თქვენი გრძნობების გადაჭრილება. რა დამნაშავე ხართ, თუ სხვა ჰპოვეთ? იყავით ბედნიერი... ნეტავი აგრე, რომ ის, ვისაც თქვენ ეთაყვანებით, ღირსი ყოფილიყოს თქვენი სიყვარულისა. მაშ გამარჯვებით, ვიდრე მე თქვენს ამბავს გავიგებდე და თქვენ კი ჩემსას... ყოველ შემთხვევაში ამ უკანასკნელის მოლოდინი თქვენ ნუ გექნებათ...

„მარად თქვენი პატივისმცემელი გეგე“.

მალის წერილი აუცახცახდა.

— წავიდა, წავიდა... ნეტავ რომელ სადგურზე იქნება? იქნებ მივუსწრო...

ფაცაფუცით ჩაცმა დაიწყო, მაგრამ ვიდრე კარს გამოაღებდა, ისევ გამოტრიალდა, ასე ჩაცმული ჩაეშვა სავარძელში და ხარბად დაუწყო პაპიროსს წევა.

დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „საქართველო“ № 60.